

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი

შ. მამულაძე, თ. შალიკაძე, რ.კ. სციპიორსკი, კ. ქამადაძე, ს. მამულაძე

2017 წელს გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური
ექსპედიციის ანგარიში



ბათუმი 2017

2017 წელს გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია ძირითად გათხრებს კვლავ ციხის შიდა ტერიტორიაზე აწარმოებდა. ციხის გარეთ ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებული მიწების სადავო საკითხების მოგვარების გარეშე სამუშაოების წარმოება ჯერჯერობით კვლავ შეუძლებელი ხდება. ციხის შიგნით გათხრები წელსაც ძირითადად სამ უბანზე წარმოებდა:1. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (SO 12 და 13 სექტორები); 2.ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი (SO 6 და 9 სექტორები); 3.ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი (SO სექტორი). მოკლედ შევჩერდებით სამივე უბანზე წარმოებული გათხრების ძირითად შედეგებზე.

1.ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში წარმოებული სამუშაოების მოკლე ანგარიში (SO 12 და 13 სექტორები)

ამ უბანზე არქეოლოგიური სამუშაოები წინა წლებში გათხრილი ნაგებობის სამხრეთით გავაფართოეთ. ჯერ კიდევ 2016 წელს წარმოებული გათხრების შედეგად დადასტურდა, რომ ადრე გამოჩენილ ნაგებობას უშუალოდ აგრძელებს მეორე ასევე მოზრდილი შენობის ნაშთები. ახლად გამოჩენილი ნაგებობის მცირე ნაწილი ჯერ კიდევ 2016 წელს გაითხარა. ამჯერად გადავწყვიტეთ წინა წელს აღმოჩენილი რომაული პერიოდის ზედა პირველი საამშენებლო დონის შენობის საძირკვლების სრულყოფილი გაწმენდა, პრეპარაცია იატაკის დონემდე და აქ არსებული სიტუაციის შესწავლა. პარალელურად გავაგრძელეთ თხრილის გაფართოება როგორც სამხრეთით, ისე დასავლეთით. ასე, რომ წელს ჩვენი სამუშაოების წარმოების არეალში კვლავ მოექცა წინა წელს ნაწილობრივ შესწავლილი SO 12 სექტორის 10, 20, 30, 40, 50, 60, 70, 80 კვადრატები და გაუთხრელი SO 13 სექტორის 1, 11, 21, 31, 41, 51, 61, 71 კვადრატები. წელსვე დავიწყეთ პირველად ამავე სექტორის 72, 73, 74 და 75 კვადრატებში ჩაღრმავება, სადაც გავყევით ახლად აღმოჩენილი ნაგებობის უკიდურეს აღმოსავლეთ გარე მზიდი კედლის საძირკვლის ნაშთებს მთელ სიგძეზე.

წლებადელი გათხრების მოკლე შედეგების დახასიათებას დავიწყებთ SO 12 სექტორის ზემოთ აღნიშნული კვადრატებით, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა მთელ სიგრძეზე დამხრობილი და უშუალოდ ემიჯნება SO 13 სექტორს, ფაქტიურად SO 13 სექტორი სამხრეთით SO 12 სექტორის გაგრძელებას

წარმოადგენს. SO 12 სექტორში როგორც ზემოთაც აღინიშნა, 2016 წელს მოვახერხეთ 50-60 სმ-ზე დაღრმავება და ზედა ჰუმუსის აღება. წინა წელს აქ დავედით რომაული ეპოქის ზედა პირველ საამშენებლო დონის ნაგებობათა ნაშთების დონეზე. წელს მოვახერხეთ ამ მონაკვეთზე 20-30 სმ დაღრმავება და დავედით აქ დაფიქსირებული ნაგებობის კედლების საძირკვლების იატაკის დონემდე. ამ სექტორის მე-80 კვადრატში, რომელიც აღმოსავლეთით ბოლო კვადრატია, ჯერ კიდევ გასულ წელს დაფიქსირდა ორი მომიჯნავე ყაზარმის შენობის გარე მზიდი განივი კედლისაგან 1 მ სიფართისა და 1,55 მ სიგრძის წინ გაზიდული პილიონი. მას აგრძელებს დასავლეთით საკმაოდ ფართე (80-90 სმ) კედელი მთელ სიგრძეზე, რომელიც ასევე საერთო მზიდი კედელი ჩანს და ორ ყაზარმას მიჯნავს ერთმანეთისაგან. ამავე სექტორში მთელ სიგრძეზე კარგად გამოიკვეთა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დახრილი შიდა სათავსოებისათვის განკუთვნილი საძირკვლების ნაშთები. ისინი სამხრეთით გრძელდება. ამ სათავსოების აღწერა-დახასიათებაზე შედარებით ვრცლად საუბარი ქვემოთ, მომიჯნავე SO 13 სექტორში წარმოებული გათხრების შედეგების აღწერისას გვექნება.

SO 12 სექტორში, სათავსოთა შიდა სივრცეში საძირკვლების დონეზე კარგად გამოიკვეთა იატაკები, რომლებიც ტრადიციულადაა გამართული. საშუალო და მცირე ზომის ქვების ყრილი ზემოდან საკმაოდ სქელი (10 -15სმ) თიხატკეპნილითაა დაფარული. მასზე ზემოდან წვრილმარცვლოვანი ზღვის ქვიშის და კერამიკის ნამტვრევების ნაზავია დაფენილი. იატაკის დონეზე თითქმის ყველგან, მაგრამ განსაკუთრებით მრავლად მე-80, 30-ე და 50-ე კვადრატებში დაფიქსირდა სახურავის კრამიტყრილები. მე-80 კვადრატში კრამიტყრილსა და იატაკს შორის სივრცეში აღმოჩნდა საოჯახო შინსახმარი კერამიკისა და მინის ჭურჭლის ნატეხები.

ამ სექტორში რომაული ეპოქის ზედა პირველი საამშენებლო დონის წინა წელს აღმოჩენილ მასალებს 2017 წელს მე-10 კვადრატში დაემატა ჩაიდნის მილის ნატეხი, რომელსაც შიგა მხარეს დატანილი აქვს ნახვრეტები; მე-60 კვადრატიდან-გვერდაკეცილი კრამიტეები; 70-ე კვადრატიდან სინოპური ამფორის პირ-ყელის, კედლისა და ყურის ნატეხები, ბრინჯაოს გაურკვეველი დანიშნულების ნივთის ნატეხები, კრიალა ცისფერი მინის სასმისის პირ-კედლის ფრაგმენტი და გრაფინის პირი; მე-80 კვადრატიდან რკინის ლურსმნები, სინოპური ამფორის ძირის, სუფთად

განლექილი თიხის დოქის, კრიალა ცისფერი მინის სანელსაცხებლის პირ-ყელის ნატეხები და ა.შ. SO 12 სექტორში ამ დონეზე წელს შევაჩერეთ სამუშაოები. აქ დაფიქსირებული ნაგებობის კედლების საძირკვლები სამხრეთით გრძელდება და გაუთხრელ ფართობში შედის. ამიტომ გადავწყვიტეთ თხრილი გავაფართოვოთ სამხრეთით SO 13 სექტორის 1, 11, 21, 31, 41, 51, 61, 71 კვადრატებში. ამ სექტორშიც მიზნად დავისახეთ მთელ სიგრძეზე ზედა ჰუმუსის მოხსნა და მომიჯნავე SO 12 სექტორში გამოვლენილი რომაული ეპოქის ზედა პირველი საამშენებლო დონის ნაგებობათა ნაშთების დონემდე დასვლა, რითაც შესაძლებლობა მოგვეცემოდა ნაწილობრივ მაინც გაგვესაზღვრა ახლად გამოვლენილი დიდი ზომის ნაგებობის (ყაზარმის) და მის შიდა სივრცეში განთავსებული ცალკეული სათავსოების გეგმა. საკმაოდ შრომატევადი სამუშაოების შესრულების შემდეგ აქაც ავიღეთ 50-60, ზოგან 70 სმ სიმძლავრის ჰუმუსის ფენა. ერთადერთ 61-ე კვადრატში შეგვხვდა ოსმალური ეპოქის ქვაყრილი, რომელიც წინა წელს მე-60 კვადრატში აღმოჩენილი ოსმალური ეპოქის ქვაყრილის გაგრძელებას წარმოადგენს. ამ სექტორშიც მთელ სიგრძეზე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე მეტნაკლებად ისეთივე სურათი გამოიკვეთა, რაც SO 12 სექტორში. გრძელდება SO 12 სექტორში გამოვლენილი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობილი შიდა გამტიხრავი კედლების საძირკვლის ნაშთები, რომლებიც აქაც გაუთხრელ ფართობში შედის. ამ დონეზე თითქმის ყველა კვადრატში მრავლად გვხვდება სახურავის კრამიტყრილები. ჰუმუსის ნარევი ფენაში ძირითადად ოსმალური ეპოქის მასალები გვხვდება, თუმცა არის ბიზანტიურიც და რომაული პერიოდის არტეფაქტებიც.

რაც შეეხება ამ ახალი ნაგებობის სათავსებს, მათი გამტიხრავი კედლების საძირკვლები საკმაოდ კარგადაა შემონახული. შესაძლებელი ხდება ამ სათავსოთა სრულყოფილი გეგმის დაჭერა. ჯერჯერობით ამ ახლად აღმოჩენილი ყაზარმის რომაული ეპოქის პირველ საამშენებლო დონეზე 6 სათავსო გამოიკვეთა. ისინი პირობითად ერთიდან შვიდამდე დავნომრეთ. აქვე ვიძლევიტ მათ მოკლე აღწერას.

სათავსო #1 მდებარეობს SO 13 სექტორში წელს გავლებული თხრილის უკიდურეს დასავლეთ კუთხეში. იგი უშუალოდ ედგმის წინა წლებში შესწავლილი ყაზარმის გამმიჯნავ მზიდ კედელს. ამ სათავსოს ამჟამინდელი ხილული სიგრძე 8 მ-ია. ჯერჯერობით ჩანს სამი კედლის საძირკვლის ნაშთები. მისი ერთი ნაწილი (4 მ)

ექვეა SO 12 სექტორში, ხოლო დანარჩენი SO13 სექტორის პირველ და მე-11 კვადრატებში. ამ სათავსოს ჩრდილო კედლის საძირკველი ზიარია მომიჯნავე და ახლად გამოვლენილი ყაზარმისა. ფაქტიურად იგი გამმიჯნავია ამ ორი ნაგებობისა. აქ ამჟამად შემონახულია საძირკვლის წყობის ერთი, აქა-იქ ორი რიგიც. საკუთრივ ამ სათავსოს შიგა სიფართე 3,40 მ-ია. ასევე კარგად იკითხება სათავსოს დასავლეთი კედლის საძირკვლის ნაშთებიც. მისი სიფართე 90 სმ-ია. მის წყობაში გამოყენებულია მოზრდილი და საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვები. შემორჩენილია ძირითადად ერთი რიგი, აქა-იქ დაცულია ორი რიგიც. ასეთივეა ამ სათავსოს აღმოსავლეთი კედლის საძირკვლის ნაშთებიც. მისი სიფართე 80-85 სმ-ს შორის მერყეობს. წყობაში შემაკავშირებლ მასალად აქაც თიხა, წვრილმარცვლოვანი ქვიშა და კერამიკის ნამტვრევების ნაზავია გამოყენებული. იატაკის ნაწილის ჩაჭრის შემდეგ სათავსოს ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობილი ქვების წყობის ერთი რიგი. არაა გამორიცხული იგი უფრო ადრეული, მეორე საამშენებლო დონის ნაგებობის ნაშთები იყოს. მომავალში აქაც გაგრძელდება სამუშაოები და უკეთ გამოჩნდება ყველაფერი. ამ სათავსოს ჩრდილოეთ მხარეს კედლის ძირში და ნაწილობრივ იქვე ახლოს საძირკვლის ხარჯზე ჩაჭრილია ოსმალური ეპოქის სანაგვე ორმოები. სათავსოს იატაკის დონე ნულოვანი წერტილიდან 2,37 მ-ია.

სათავსო #2 მდებარეობს პირველისაგან აღმოსავლეთით და მოიცავს SO 12 სექტორის 30- ე და ნაწილობრივ მე-20 და 40 კვადრატებს; ასევე 13 სექტორის 21 და ნაწილობრივ 11 და 31 კვადრატებს. იგი პირველ სათავსოს ემიჯნება აღმოსავლეთიდან. მათ ზიარი გამყოფი კედელი აქვთ. ეს სათავსო პირველთან შედარებით ფართოა და 5,55 მ-ია. მთლიანი სიგრძე ამისაც 8 მ-ია. შედარებით კარგადაა დაცული დასავლეთი ზიარი კედლის საძირკვლის ნაშთები. რაც შეეხება აღმოსავლეთს, შედარებით სუსტადაა დაცული. იგი შედარებით ვიწროა და 37-45 სმ-ს შორის მერყეობს. რაც შეეხება ჩრდილოეთ მხარეს, აქ აქა-იქაა შემონახული საძირკვლის ნაშთები. იატაკი აქაც ტრადიციულადაა გამართული. სათავსოს ცენტრალურ მონაკვეთში და დასავლეთი კედლის საძირკვლის გასწვრივ იატაკის დონეზე დაფიქსირდა ჩამოწოლილი სახურავის კრამიტების ნაყარი.

სათავსო #3 უშუალოდ ემიჯნება #2 სათავსოს. იგი მოიცავს SO 12 სექტორის მე-40, ნაწილობრივ 50 კვადრატებს; ასევე SO 13 სექტორის 31-ე და ნაწილობრივ 41-ე კვადრატებს. აქ საკმაოდ საინტერესო სურათი გამოიკვეთა. ამ სათავსოს დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლების საძირკვლები ჩრდილოეთით სცილდება ამ ახლად აღმოჩენილი ნაგებობის გარე მზიდ კედელს და 4 მ-ზე გადის მომიჯნავე ყაზარმის სიღრმეში. არაა გამორიცხული იგი პირველ და მეორე ყაზარმას შორის დამაკავშირებელი დერეფანი იყოს.

სათავსო #4 მდებარეობს SO 12 სექტორის 50-ე კვადრატში მთლიანად და ნაწილობრივ ამავე სექტორის მე-60 კვადრატში. ასევე SO 13 სექტორის 41-ე და ნაწილობრივ 51 კვადრატებში. ამ სათავსოს სიგრძეც 8 მ-ია, ხოლო სიფართე 3,85 მ. კარგადაა შემორჩენილი დასავლეთი კედლის საძირკვლის ნაშთები. მისი სიფართეა 85-90 სმ. აქ შემორჩენილია ორი და ზოგან სამი რიგი ქვების წყობისა. ასევე კარგადაა დაცული აღმოსავლეთი კედლის საძირკვლის ნაშთების დიდი ნაწილიც. შემონახულია საშუალო ზომის ქვების ორი რიგი. ჩრდილოეთის მხარეს ეს სათავსოც შემოსაზღვრულია ორი ყაზარმის გრძივი გამმიჯნავი ზიარი კედლის ნაშთებით. ამ სათავსოს იატაკიც ზემოთ აღწერილთა მსგავსადაა გამართული.

სათავსო #5 მდებარეობს მე-4 სათავსოსაგან აღმოსავლეთით. მათ საერთო ზიარი კედელი ჰქონდათ. განთავსებულია SO 12 სექტორის მე-60 მთლიანად და 70-ე ნაწილობრივ, ასევე SO 13 სექტორის 51 და ნაწილობრივ 61-ე კვადრატებში. იატაკი ნულოვანი წერტილიდან 2,25 მ-ზეა. მისი სიგრძე აქაც 8 მეტრია. სიფართე 3,55 მ. ამ სათავსოს ჩრდილოეთ კედლად აქაც ორი ყაზარმის გამმიჯნავი გრძივი მზიდი კედლის საძირკვლებია გამოყენებული. კარგადაა დაცული სათავსოს აღმოსავლეთი კედლის საძირკვლის ნაშთებიც. შემორჩენილია 2, ზოგან 3 რიგი ქვების წყობისა. მისი სიფართეა 80-85 სმ. იატაკი აქაც ისეა გამართული, როგორც სხვა სათავსოებში. სათავსოს დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ მონაკვეთში საძირკვლების დონეზე მიშენებულ-გამართული იყო კერა. იგი კედლისაგან შიდა სივრცეში წინ წაზიდული მომცრო ზომის ქვების წყობითაა გამართული. მარცხენა მხარეს კედელთან ახლოს ორი მოზრდილი ზომის კალორიფერიცაა ჩასმული. მათ კარგად ემჩნევა ცეცხლის კვალი.

სათავსო #6. იგი ბოლო სათავსოა ამ ახლად აღმოჩენილი ყაზარმისა. მდებარეობს SO12 სექტორის 60 და 80 კვადრატებში და SO13 სექტორის 61 და 71 კვადრატებში. მისი ამჟამინდელი ხილული სიგრძე 10 მ-ია. მის სამხრეთ მონაკვეთში სამუშაოები გაგრძელდება და არაა გამორიცხული სათავსომ კიდევ მოიმატოს სიგრძეში. მისი სიფართოა 4 მ-ია. მისი დასავლეთი კედლის საძირკველი მე-5 და მე-6 სათავსოს ზიარია. რაც შეეხება აღმოსავლეთისას იგი მთლიანი ყაზარმის აღმოსავლეთი გარე მზიდი კედელია, რომლის სიფართოც 90-95 სმ-ია. სათავსოს ჩრდილო დასავლეთი მონაკვეთის კარგა მოზრდილ ტერიტორიაზე დაფიქსირდა კრამიტიკურილი, რომლის ქვეშ იატაკის დონეზე აღმოჩნდა სხვადასხვა სახის კერამიკული მასალა, მათ შორის კოლხური ამფორის მოზრდილი ნატეხები, მინის ნაწარმი და ა.შ. ამ ტერიტორიაზე ნაწილი იატაკისა ჩავჭერთ. ჭრილისათვის შემოვიწახეთ ამ სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი. დადასტურდა, რომ იატაკის სიმძლავრე 30-35 სმ-ია. შემდეგ კი იწყება რომაული ეპოქის მეორე საამშენებლო დონე. ამ სათავსოს აღმოსავლეთ კედლის საძირკვლების ქვეშ გამოიკვეთა მეორე საამშენებლო დონის კედლის საძირკვლის ნაშთებიც. მათზე უშუალოდ ზემოდან დაშენებულია ზედა პირველი საამშენებლო დონის ნეგებობის კედლების საძირკვლები და ფარავს ადრეულს. სათავსოს შუა ნაწილში ასევე დაფიქსირდა მეორე საამშენებლო დონის კედლის საძირკვლის ნაშთებიც, რომელიც დამხრობილია ზედა მზიდი კედლის საპირისპიროდ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამ სათავსოს შიგნით მეორე საამშენებლო დონის მცირე ფართობზე საკმაოდ საინტერესო მასალებმაც იჩინა თავი. SO 13 სექტორის 61 კვადრატის უკიდურეს სამხრეთ მონაკვეთში აღმოჩნდა თიხის ამფორისკის მოზრდილი მთლიანი ჭურჭელი; ამავე კვადრატის ცენტრალურ ნაწილში კი ბრინჯაოსგან დამზადებული ირმის ქანდაკება, რომლის რქებს შორის არეში არწივია განთავსებული.

ამავე დონეზე დაფიქსირდა სხვა კერამიკული ნაკეთობანიც. 60 და 61 კვადრატების მიჯნაზე, ნულოვანი წერტილიდან 2,26 მ-ზე ასევე აღმოჩნდა მოზრდილი თხელკედლიანი დოქის ნამტვრევები და ა.შ.

წელსვე პარალელურად სამუშაოები გავაგრძელებთ თხრილის უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთში მთელ სიგრძეზე, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე. ახლად გამოჩენილი ყაზარმის შენობის სიგრძის დაზუსტების მიზნით გათხრები

გავაფართოვით SO 13 სექტორის 71, 72, 73, 74 და 75 კვადრატებში. ამ სიგრძით თხრილში 60-ზოგან 90 სმ სიმაღლის ჰუმუსის ფენის მოხსნის შემდეგ უშუალოდ რომაული ეპოქის პირველ საამშენებლო დონეზე დავედით. ზედა ფენაში გამოკვეთილი ოსმალური ან ბიზანტიური ეპოქის კულტურული ფენა არ დაფიქსირებულა. სამაგიეროდ ამ ნარევ ნაყარ ფენაში გვხვდება როგორც ოსმალური, ისე ბიზანტიური და რომაული ეპოქის კერამიკულ მასალათა ნატეხები. რომაული ეპოქის პირველ საამშენებლო დონეზე ფიქსირებული ნაგებობა საკმაოდ დიდი მოცულობისა ჩანს. ახალი შენობის გარე მზიდი აღმოსავლეთი კედლის საძირკვლები 24 მ სიგრძეზეა გაჭიმული. შემორჩენილია მოზრდილი გარეხედაპირ-ჩამოსწორებული ქვები. ქვებს შორის სივრცე კი შევსილია შედარებით პატარა ზომის ქვებისა და ალიზი ტალახის ნარევით. საძირკვლები აქა-იქ დაზიანებულია ოსმალური პერიოდის ჩანაჭერი ორმოებით. ასეთი ორმოები გვხვდება კედლის ჩრდილოეთით, ცენტრალურ ნაწილში და უკიდურეს სამხრეთ მონაკვეთში. თხრილის ამ მონაკვეთში რომაული ეპოქის ზედა პირველ საამშენებლო დონიდან მთელ სიგრძეზე დავდრმავედით 40-50 სმ-ზე. ქვემოთ დაფიქსირდა იგივე რომაული ეპოქის ადრეული საფეხურის (I-II სს) მეორე საამშენებლო დონის ნაგებობათა ნაშთები. იგიც ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა დამხრობილი. მის დიდ ნაწილს ზედა პირველი საამშენებლო დონის ნაგებობის საძირკვლის ნაშთები ფარავს. შედარებით კარგად ჩანს 73 და ნაწილობრივ 74 კვადრატებში. მისი მთლიანი სიგრძეა 12,5 მ. მეორე საამშენებლო დონის საძირკვლის წყობებში ძირითადად შემორჩენილია თითო, ზოგან ორი რიგი საშუალო და მომცრო ზომის ქვებისა. იგი სრულიად განსხვავდება მოგვიანო, ზედა პირველი საამშენებლო დონის წყობებისაგან. ქვების შემაკავშირებელ მასალად აქაც გამოყენებულია ტალახი. მეორე საამშენებლო დონის კედლების საძირკვლები უშუალოდ დიუნაზეა გამართული. მომავალში გათხრები კვლავ გაგრძელდება ამ მონაკვეთზე.

ამ სექტორში წელს მოვახერხეთ დადრმავება მხოლოდ რომაული ეპოქის მეორე საამშენებლო დონემდე. აქ გათხრები მომავალშიც გაგრძელდება. ჰუმუსის შედგომ უძრავი რომაული ეპოქის პირველი საამშენებლო დონის შესწავლისას ცალკეულ კვადრატებში ძირითადად აღმოჩნდა შემდეგი სახის მასალები.

#1 კვადრატში: აღმოჩნდა მინიატრული ამფორისკის კედლისა და ძირის, სინოპური ლუთერიის პირ-კედლის, ტანდაღარული ამფორისკის კედლები; ასევე ბრინჯაოს მონეტა, გვერდაკეცილი კრამიტის ნატეხები და სხვა.

#11 კვადრატი: გვერდაკეცილი კრამიტის ნატეხები, მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს რგოლი და სხვა.

#21 კვადრატი: აღმოჩნდა სინოპური ჭურჭლის, შეწყვილებულყურიანი ამფორის ყურის, კალორიფერის ნატეხები.

#31 კვადრატი: აღმოჩნდა სუფთად განლექილი წითელლაკიანი ჯამის, პირ-კედლის, ნარინჯისფერკეციანი ტანდაღარული ამფორის ძირი, ასევე მოვარდისფრო - მოჩალისფრო, სუფთად განლექილი თიხის ჯამის პირ-კედლის ფრაგმენტები, ცისფერი მინის სასმისის ძირის, დიდი რაოდენობით გვერდაკეცილი კრამიტის ნატეხები და ა.შ.

#41 კვადრატი: გვერდაკეცილი კრამიტის ნატეხები.

#51 კვადრატი: მის ცენტალურ ნაწილში, ზედაპირიდან 75 სმ-ზე აღმოჩნდა დეკორატიული აგურის ნატეხები ადამიანის სახის გამოსახულებით; კვადრატის აღმოსავლეთ კუთხეში ყავისფერი, მოყვითალო და ჩალისფერი თიხისაგან დამზადებული ამფორის პირ-ყელისა და ძირის, ასევე ძაბრისებრპირიანი ამფორის პირის, წითელლაკიანი ჯამის ძირ-ქუსლისა და ტანის ნატეხები. აქვე დაფიქსირდა ქვაბ-ქოთნის ძირის ფრაგმენტები და ა.შ.

#61 კვადრატი: აღმოჩნდა ლუთერიის პირ-ყელის, ტანდაღარული და სინოპური ამფორის, ქვაბ-ქოთნების, კოლხური ამფორის ყელის, ტანისა და ძირის ნატეხები, თეთრკეციანი კირქვის მინარევებით ამფორის პირ-ყელი და ყური. ასევე მოყვითალო ფერის მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, გვერდაკეცილი კრამიტის ნატეხები და ა.შ.

#71 კვადრატი: ტანდაღარული ამფორის კედლის ნატეხები; ასევე კოლხური ამფორის კედლის, ძირ-კედლის ნატეხები, რომლის ერთ-ერთ ნიმუშზე დატანილია X ნიშანი, ხოლო მეორე ნატეხზე დატანილი ანალოგიური ნიშანი კვადრატშია მოქცეული. კვადრატის კუთხეებსა და ცენტრში დატანილია თითისებრი ნაჭდევები. ამავე კვადრატში აღმოჩნდა ასევე ჩალისფერკეციანი ჯამის ძირ-კედლის, წითელლაკიანი ჯამების, გვერდაკეცილი კრამიტების და სხვა ნივთები.

აღმოსავლეთით გაფართოებული თხრილის ზედა ჰუმუსოვან ნარევ ფენაში აქაც ძირითადად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ეპოქის (ოსმალური, ბიზანტიური და რომაული) მასალები. რაც შეეხება რომაული ეპოქის ზედა უძრავ პირველ საამშენებლო დონეს აქ კვადრატების მიხედვით დაფიქსირდა შემდეგი სახის არტეფაქტები.

#72 კვადრატი. გვერდაკეცილი კრამიტის ნატეხები, დეკორატიული აგურის, წყალგაყვანილობის მილის, სინოპური ამფორის ყელის, ადგილობრივი დოქისა და დერგის ყურისა და ტანის ნატეხები.

#73 კვადრატი. აღმოჩნდა სინოპური ამფორის პირ-ყელის, ტანდაღარული ნარინჯისფერკეციანი ამფორის კედლისა და ყურის, კოლხური ამფორის ტანისა და ყურის, ადგილობრივი ლუთერიის პირ-კედლის, გვერდაკეცილი კრამიტების, სხვადასხვა ტიპის ადგილობრივი ჭურჭლის ყურებისა და ტანის ნატეხები. ამავე კვადრატის დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა ორი, დაზიანებული ბრინჯაოს მონეტა.

#74 კვადრატი. დაფიქსირდა სინოპური ლუთერიის პირის, ძირის და კედლის ფრაგმენტები. ასევე ტანდაღარული ჩალისფერკეციანი ამფორის კედლისა და ყურის, ნარინჯისფერკეციანი ამფორის კედლისა და ყურის, მწვანე ფერის მინისაგან დამზადებული სასმისის ძირ-კედლის ნატეხები და ა.შ.

#74 კვადრატი: აღმოჩნდა ტანდაღარული ამფორის კედლისა და ყურის, ჭდეებით დაფარული ლანგრის პირის ნატეხები; მთლიანად დაცული ჭრაქი; დისკოსებრ სახელურიანი ხუფი; ასევე ადგილობრივი დოქის ძირ-კედლის, მოყვითალო ფერის მინის ჭურჭლის ყურის, ცისფერი მინის ჭურჭლის, სანესაცხებლის და სხვათა ნატეხები.

წელსვე მოვახერხეთ SO 13 სექტორის 62 კვადრატში ჩავდრმავეებულიყავით. აქაც რომაული ეპოქის პირველი საამშენებლო დონის ფენის შესწავლისას აღმოჩნდა სინოპური ამფორის მრგვალგანივკვეთიანი ყურის, ანგობირებული ამფორის ყურის, ლუთერიის პირ-ყელის, ჯამის ძირ-კედლის, ქოთნების ტანის ნატეხები; ასევე გამჭვირვალე ცისფერი მინისაგან დამზადებული სასმისის ძირი, მოყვითალო მინის ჭურჭლის ძირი და სხვა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა წელსვე თხრილის ზოგიერთ მონაკვეთში მოვახერხეთ იგივე რომაული ეპოქის უფრო ადრეულ (I-II სს) II საამშენებლო

დონეზე დასვლა და მათი ნაწილობრივ შესწავლა. II საამშენებლო დონის კულტურული ფენის სრულყოფილად შესწავლის შესაძლებლობას ზედა I საამშენებლო დონის ნაგებობათა ნაშთები არ იძლევა. მიუხედავად მცირე სამუშაოებისა, აქაც საკმაოდ საინტერესო მასალებმა იჩინა თავი. როგორც ზემოთაც ითქვა 61-ე კვადრატში ამ დონეზე აღმოჩნდა ირმის ქანდაკება, კარგად დაცული სინოპური მოზრდილი ამფორისკი, მანდარინისებური ფორმის მინის მძივი, რკინის ნივთისათვის განკუთვნილი ფირფიტები და ა.შ. 71-ე კვადრატში აღმოჩნდა ორი საკმაოდ კარგად დაცული ბრინჯაოს მონეტა, თხელკედლიანი ჭურჭლის და კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული დოქის ნატეხი. 72-ე კვადრატში დაფიქსირდა ღვინისფერი მინის სამაჯურის ფრაგმენტი, თიხის ჯამის, ამფორის და სხვა ჭურჭლის ნატეხები.

მოპოვებულ მასალაში სამეურნეო სატრანზიტო კერამიკის დიდი ნაწილს კვლავაც ამფორები შეადგენს. ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ აფსაროსში მოპოვებული ამფორების კლასიფიკაციის მიხედვით.

ადგილობრივი ამფორებიდან წარმოდგენილია ყავისფერკეციანი ამფორის ყელისა და ყურის ფრაგმენტი (გ.ა.2017.199), აქვს პიროქსინისა და კვარცის მინარევები, ყელწიბოიანი, ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიძერწილია ყელისა და მხრის არეში. აქვეა მხრის ფრაგმენტი ყურის მიძერწვის ადგილით, ყურს ქვემოთ თითქოს რაღაც ნიშანიც იკითხება. ყელის დმ 7 სმ; ყურის დმ 5,2 სმ; დაცული ფრაგმენტის სიმაღლე – 23 სმ.

როგორც ცნობილია სტრატეგიულ დანიშნულებასთან ერთად რომაული ციხე-ქალაქები წარმოადგენდნენ სახელოსნო ცენტრებსაც. სწორედ ამ ტიპის ნაკეთობათა ადგილზე დამზადებაზე მიუთითებს მოპოვებული მასალები. ამასვე ადასტურებს აფსაროსში ადგილობრივი მცხოვრებლებით დასაქმებული ქურა-სახელოსნოს არსებობაც, რომლის მიზანი აქ განლაგებული გარნიზონის საჭირო მასალით დაკმაყოფილება იყო (ხალვაში, 2002:15-20).

რაც შეეხება ყელწიბოიან ამფორებს, ისინი განკუთვნილი იყო ადგილზე გამოსაყენებლად, როგორც პროდუქტის შეასანახი საშუალება. ისინი აფსაროსში მოპოვებული კოლხური ამფორების მეორე ვარიანტშია გაერთიანებული და ახ.წ. II-III სს თარიღდება (ხალვაში, 2002:15-20, სურ. 8. ყელწიბოიანი ამფორების კლასიფიკაციის და ქრონოლოგიის შესახებ ვრცლად იხ. ხალვაში, 2000:35-51).

ყავისფერკეციანი ამფორების ძირები კონუსისებრი ფორმისაა, აქვთ მომრგვალებული საყრდენი არე, შიდა ზედაპირზე სუსტი ვარდული აქვს გამოხატული (გ.ა. 2017. 130; 144;

145). გვხვდება ასევე დაბალი, კორპუსისაგან შეუმჩნევლად გამოყოფილი ღრუ ძირებიანი ვარიანტებიც (გ.ა. 2017. 47; 100).

გვხვდება ყავისფერკეციანი კოლხური ამფორის ყელის ფრაგმენტი (გ.ა. 2017. 106; 169), მხარზე შერჩენილი აქვს ყურის მიძერწვის ადგილი. თავის მხრივ საინტერესოა ამფორის კედლისა და ყურის ფრაგმენტი (გ.ა. 2017. 201), აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ყური, ყურის დაბოლოების ადგილზე დატანილია თითისებრი ნაჭდევი (ყურის დმ 3,7 სმ.), წარმოდგენილია კოლხური ამფორის ბრტყელგანივკვეთიანი ყურებიც (გ.ა. 2017. 148; 149; 183; 230).

ყურადღებას იქცევს ყავისფერკეციანი ამფორის კედლის სხვა ფრაგმენტებიც. ერთ-ერთ მათგანს (გ.ა. 2017.164) დატანილი აქვს X-სებრი ნიშანი (კეცის სიქე 1,6 სმ), ხოლო მეორე კედლის ფრაგმენტზე (გ.ა. 20 17. 165) X-სებრი ნიშანი კვადრატშია ჩასმული, კვადრატის ცენტრსა და ბოლოებზე კი თითისებრი ნაჭდევებია დატანილი (კეცის სიქე 1,6 სმ.).

იმპორტულ ამფორათა შორის უნდა აღინიშნოს ქიმისებრშვერილიანი ამფორების ძირის ფრაგმენტები (გ.ა. 2017. 110, 137, 147, 138, 186, 187, 188,) მოყავისფრო ზოგჯერ მოჩალისფრო-მოვარდისფრო თიხის, სუფთად განლექილი ქარსის მინარევებით, ცილინდრული. ქუსლის საყრდენ არეში მოცემულია მკვეთრი ბურცობი.

მრავარიცხოვნებით კვლავაც გამოირჩევა სინოპური ამფორები. წარმოდგენილია პირ-ყელისა და ყურის (გ.ა. 2017. 22,34, 55,154, 181), კედლის (გ.ა. 2017. 122) და ძირის (გ.ა. 2017. 150) ფრაგმენტები. დამზადებულია მოყავისფრო, განატეხში მოიასამნისფრო თიხისაგან. აქვს კირქვისა და პიროქსენის მინარევები. როგორც აფსაროსში აღმოჩენილი ამფორების მკვლევარი მ. ხალვაში აღნიშნავს, გონიო-აფსაროსში მოპოვებულ კერამიკულ მასალაში სიმრავლით სწორედ სამხრეთ შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სახელოსნო და სატრანზიტო ცენტრის – სინოპეს ნაწარმი გამოირჩევა. რაც არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სინოპე წარმოადგენდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი არმიისა და ფლოტის ძირითად დასაყრდენ პუნქტს, საიდანაც ხდებოდა ამიერკავკასიასა და მცირე აზიის ჩრდილოეთ რაიონებში განლაგებული რომაული არმიის ნაწილების მომარაგება.

რამდენიმე ფრაგმენტითაა წარმოდგენილი ვიწროყელიანი ამფორის ძირ-ქუსლები (გ.ა. 2017. 137, 147). ვიწროყელიანი ამფორები ჩნდება ახ.წ. I საუკუნიდან და ფორმათა ცვალებადობით არსებობას განაგრძობენ ახ.წ. V-VI სს. ჩათვლით. ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი მასალები ცხადყოფენ, რომ ახ.წ. II-III სს-ში ამ ტიპის ამფორების წარმოებას მასიური ხასიათი მიუღია, რაზედაც აფსაროსში მოპოვებული I ჯგუფში გაერთიანებული ვიწროყელიანი ამფორების ყველა ვარიანტი ახ.წ. II ს-ის

დასაწყისისა და III ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ კულტურულ ფენებში გვხვდება (ხალვაში, 2002:29–33, სურ.26). ამავე პერიოდისაა ნარინჯისფერკეციანი, კონუსური ფორმის ამფორის ძირის ფრაგმენტები (გ.ა. 2017. 76; 79; 98), ისინი მერვე ტიპის ამფორებშია გაერთიანებული (ხალვაში, 2002:36, სურ.30). ვარდისფერკეციანი ამფორები კი წარმოდგენილია ამფორის კედლისა და ყურის უსახური ფრაგმენტების სახით (გ.ა. 2017. 129; 231), რის გამოც ძნელია ტიპის განსაღვრა და რომელიმე ჯგუფში გაერთიანება. იგივე შეიძლება ვთქვათ მასიური ნარინჯისფერკეციანი ყურების შესახებაც (გ.ა. 2017. 79, 107).

ადრეშუასაუკუნების კერამიკული ტარა წარმოდგენილია ამფორის გოფირებულზედაპირიანი კედლისა და დაღარულზედაპირიანი ყურის ფრაგმენტებით (გ.ა. 2017. 8, 26, 128, 224).

წლევანდელ მონაპოვარში გვაქვს ცილინდრული ფორმის ამფორის ძირის ფრაგმენტი, რომელსაც ჯერჯერობით ანალოგი ვერ მოეძებნა (გ.ა 2017. 207).

ჩალისფერკეციანი ამფორები წარმოდგენილია კედლისა და ყურის ფრაგმენტების სახით (გ.ა. 2017. 229) პიროქსინის მინარევებით. ტანის ზედაპირზე დატანილია სუსტი ჰორიზონტალური ღარები, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედაპირზე კი დატანილი აქვს ქედები.

გარდა ამისა, მოპოვებულ იქნა მასიური, მომრგვალებულძირიანი ამფორის ფრაგმენტებიც (გ.ა 2017. 190). აღსანიშნავია ის, რომ მსგავსი ძირის ერთი ფრაგმენტი მოპოვებულია ბიჭვინთაში (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975: 269, სურ.57).

წელს პირველად აღმოჩნდა ამფორისკი (გ.ა.2017.184), რომელიც მთლიანია, მოჩალისფრო-მოვარდისფრო მსხვილმინარევიანი თიხი, აქვს მომრგვალებული პირი, გამოყვანილი ყელი, სფეროსებრი მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი. სიმაღლე 30 სმ, პირის დმ 3,7 სმ, ყელის დმ 2,6 სმ, ტანის დმ 8,3 სმ, ძირი 3,4 სმ. მსგავსია ბიჭვინთის შიდა ციხის მე-13 ნაკვეთში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ნიმუშებისა, ხოლო სხვა ანალოგების შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვამბობთ (ლორთქიფანიძე, 1975: ტაბ.35/3).

სიახლეა მოყავისფრო-მოწითალო თიხისგან დამზადებული ამფორისკის ძირ-კედლის ფრაგმენტიც (გ.ა. 2017. 101), სუფთად განლექილი, პიროქსენისა და წვრილი ქარსის მინარევებით, აქვს კოლხური ამფორის მსგავსი ტანი და ძირი. დაცული ფრაგმენტის სიმაღლე 10,5 სმ-ია. მსგავსი ამფორისკი მოპოვებულია ქობულეთ-ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე, 85-ე სამარხში (კახიძე, ვაშაკიძე 2010:41, სურ.50/11). ჯერჯერობით ვერაფერს ვამბობთ პარალელების შესახებ.

კვლავაც მრავლად გვხვდება სინოპური ლუთერიის ძირ-კედლის, ტუჩ-მილისა და ძირის ფრაგმენტები (გ.ა.2017. 52, 63, 85, 151). ისინი სხვადასხვა ზომისაა, მოთეთრო-მოიასამნისფრო

კეცი პიროქსენისა და კირქვის უხეში მინარევებით. ფორმა ძირითადად ერთნაირია, განსხვავებულ ვარიანტებს კი ჰქმნის პირის შიდა კალთის მოყვანილობა. ზოგიერთს (გ.ა. 2017. 57; 67) შიგა პირი ტანის დასაწყისიდან ღართ ან (გ.ა. 2017. 152; 141) რელიეფური ქედით აქვს გამოყოფილი.

იმპორტული ნაწარმი ასევე წარმოდგენილია წითელლაკიანი კერამიკის სახით. გვხვდება სხვადასხვა ტიპის ჯამის პირ-კედლის ფრაგმენტები (გ.ა. 2017. 163, 158, 189,133, 174), ასევე აღნიშნული ნაწარმი წარმოდგენილია ჭრაქისა და მისი ყურის ფრაგმენტებით (გ.ა. 2017. 225). ჭრაქი თითქმის მთლიანი სახითაა წარმოდგენილი. არის ყავისფერკეციანი, პიროქსენის მინარევებით. აქვს წრიული ფორმის ფარაკი, ცენტრში ნახვრეტით. საპატრუქე მილი ცეცხლისგან გაშავებულია. ზომები: 7,4x6 სმ, სიმაღლე 2,6 სმ. წლევანდელ მონაპოვარს შეემატა წითელლაკიანი ჯამის პირ-კედლის ფრაგმენტი მარყუჟისებრი მინაძერწით (გ.ა. 2017. 146). თარიღდება ახ.წ. I საუკუნის მეორე-მესამე მეოთხედით. მსგავსი ჯამი აღმოჩნდა პრინციპიის მესამე სათავსოში, იმპერატორ ნერონის სახელზე მოჭრილ მონეტასთან ერთად (ებრალიძე, 2005:20). გვხვდება დოქის ძირ-კედლის ფრაგმენტიც (გ.ა. 2017. 204) მოწითალო, სუფთად განლექილი თიხის, აქვს გაფართოებული ტანი, გამოყვანილი რგოლისებრი ქუსლი და ბრტყელი ძირი. შიგა პირზე შერჩენილი აქვს წითელი ლაკის კვალი. ძირის დმ 6,2 სმ. გვაქვს დოქის ძირიც (გ.ა. 2017. 184), მოჩალისფრო-მოყავისფრო კეცით, ძირის დმ 5,6 სმ.

გვხვდება თავისუფალი ბერვის გზით დამზადებული მინის ჭურჭლის ფრაგმენტები. სანელსაცხებლის პირ-ყელის ფრაგმენტი (გ.ა. 2017. 197), კრიალა ცისფერი მინის, ბუმტულებიანი, ფართო პირით, რგოლისებრი, მაღალი ცილინდრული ყელი, ფართე. დაცული ფრაგმენტის სიმაღლე 7,8 სმ. პირის დმ. 4,1 სმ. ყელის დმ. 2,8 სმ.

გრაფინისებრი ჭურჭლის პირისა და ყურის მცირე ფრაგმენტები (გ.ა. 2017. 166,) მოცისფრო, ბრტყელი პირით, გარეთ გადაშლილი, ყელზე შემოუყვება მინის რგოლისებრი სარტყელი, თხელკედლიანი. პირის სიფართე 1,5 სმ, მინის სისქე 0,3 სმ. აფსაროსში მოპოვებული ახ.წ. I-II სს-ის მინის ნაკეთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გრაფინებს. გამოიყოფა ნაირსახეობანიც. მათი ერთი ნაწილი ჩვენი ნიმუშის მსგავსად შედარებით თხელკედლიანი და პატარა ზომისაა (შალიკაძე, 2004:31-32, სურ.23).

წარმოდგენილია მინის ჭურჭლის ყურებიც (გ.ა. 2017. 196, 237), მოყვითალო თუ ცისფერი მინის, მრგვალგანიკვეთიანი, დმ. 0,4 სმ.

შედარებით პროფილირებული ცალები კი, როგორც წესი, ძირითადად სასმისის ძირ-ქუსლის სახით გვაქვს წარმოდგენილი. ისინი შეიძლება დავალაგოთ აფსაროსში წარმოდგენილი ძირების ტიპოლოგიის მიხედვით. I ტიპის ჭურჭლის დისკოსებური ძირი, რომელსაც ზედაპირზე აქვს ბურცობი (გ.ა. 2017.), ზოგიერთის ორმაგკედლიანი ქუსლის შიგა

ზედაპირი კი სფეროსებურადა არის შეზნექილი (გ.ა. 2017. 74, 206, 228, 235). როგორც ცნობილია, ბრტყელძირიანი სასმისები ფართოდ ჩანს გავრცელებული ანტიკურ სამყაროში (Сорокина, 1962:223 рис. 9/2, 6; 1963:158, рис. 6/55; Күнина, Сорокина, 1972; Күнина 1997: 158, кат. 6, 55; Isings 1957:48, ფორმ. 34). ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნიმუშები მიეკუთვნება დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ჯგუფს და ახ. წ. I-III სს. თარიღდება.

IV ტიპშია გაერთიანებული სასმისის ძირები, რომელთაც აქვთ ორმაგკედლიანი ღრუ ქუსლი და კონუსური შეღრმავება (გ.ა. 2017. 197). მინა კრიალა ცისფერია. დმ 3,7 სმ. მსგავსი ძირები თარიღდება ახ.წ. III საუკუნით (შალიკაძე, 2004:44. სურ. 44).

რომაული ხანის ადგილობრივი, რომანიზებული, სამზარეულო კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია ქოთნის, ქვაბ-ქოთნის, დოქებისა და ლანგრების სახით. ერთ ნაწილს (გ.ა. 2017. 131, 134, 176) გარეთა კალთაზე რელიეფური ზოლი თუ ღარი მიუყვება, შიდა კალთა ჩაღრმავებულია, როგორც ჩანს ხუფის მორგების მიზნით. ზოგიერთის (გ.ა. 2017. 193, 198) პირი სწორია, აქვთ დაბალი ყელი, ტანი ღრმა ტევადობის, მომრგვალებული. ძირი ბრტყელია (გ.ა. 2017. 115; 173). აქვთ ბრტყელი და საკმაოდ მაღალი მრგვალგანიკვეთიანი ყურები, რომელთა ზედაბოლო პირთან ახლოს, ქვედა კი ტანის არეშია მიძერწილი. მათი დიდი ნაწილი სადაა. როგორც ჩანს, თვით მეციხოვნეების მიერ დამზადებული ამ სახის ნაკეთობანი საკმაოდ ფართო მოხმარების საგანი ყოფილა (ასათიანი, 1975:201-252. იქვე შესაბამისი ლიტერატურა; კახიძე, 2004:54). ამავე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ დოქის პირის, ყურისა და ძირის ფრაგმენტები (გ.ა. 2017. 205).

ყურადღებას იქცევს მოყავისფრო-მოწითალო ფერის თიხის ხუფები (გ.ა. 2017. 1, 51, 90). ესენია ყავისფერკეციანი, მასიური, ცენტრში აქვთ ბრტყელი, დისკოსებრი სახელური. ისინი კვლავაც იმეორებენ გონიო-აფსაროსში ადრე აღმოჩენილ ფორმებს (კახიძე, 2004:55-56; სულავა, 2009:66; მამულაძე, შალიკაძე, ასლანიშვილი, 2013:194).

გვხვდება ადგილობრივი ყავისფერკეციანი ლუთერიის ნიმუშებიც (გ.ა. 2017. 68; 72; 116; 180; 222; 226). აქვთ მასიური სამკუთხაგანიკვეთიანი პირი, რომელიც გარეთკენ არის გადაშლილი. ზომები: 5,1 სმ. კეცის სისქე 1,5 სმ. გვაქვს მსგავსი ტიპის შედარებით მომცრო ცალებიც (გ.ა. 2017. 143; 156). ერთ–ერთ მათგანს (გ.ა. 2017. 22) პირის ნაწილზე დატანილი აქვს პატარა ზომის კოპი. პირის სიფართოე 2,8 სმ-ია, კეცის სისქე – 1 სმ.

არქეოლოგიური მონაპოვრების დიდი ნაწილი სამშენებლო კერამიკაზე მოდის. უმეტესობა კი სოლენის ტიპის კრამიტია, რომელიც დამზადებულია მოყავისფრო-მოწითალო ფერის თიხისაგან. აკეცილი გვერდის ზომები ძირითადად სხვადასხვაა. გამოირჩევა კარგად განლექილი და უხეში მინარევებიანი თიხისაგან მოჭრილი ცალებიც, შესაძლოა ისინი

ადგილზე იყოს დამზადებული (გ.ა. 2017. 87; 88; 161). ზოგიერთ ნიმუშზე რელიეფური ქედებია დატანილი (გ.ა. 2017. 38, 182).

გვხვდება კონუსურქიმიანი თიხის ფილების ფრაგმენტები (გ.ა. 2017. 41, 50, 113), რომელთაც ცენტრსა თუ კიდეზე შერჩენილი აქვს კონუსური ფორმის ქიმისებრი შვერილები. მსგავსი კონუსურქიმიანი თიხის ფილები მოპოვებულია ბიჭვინტაშიც, თუმცა აქაც ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, რაც ართულებს ქიმების რაოდენობის, ან მათი დანიშნულების გარკვევას (აფაქიძე, 1976:238, სურ. 531–539).

გამორჩეულია ყავისფერკეციანი დეკორატიული ფილა (გ.ა. 2017. 126), ბრტყელი, ზედაპირზე გადმოცემულია ადამიანის სახე (თვალი, წარბი და პირის ფორმები). ანალოგების შესახებ ვერაფერს ვამბობთ. გარდა ამისა გვაქვს ორი ცალი კალორიფერი (გ.ა. 2017. 32, 32₁) ორივე მათგანი წრიული ფორმისაა, დმ – 19სმ.

სხვა მონაპოვრებიდან აღსანიშნავია ცისფერი პასტისაგან დამზადებული მანდარინისებრი ფორმის მძივი. მსგავსი ფორმის მძივი აფსაროსში ადრეც იყო მიპოვებული, ოღონდ მომწვანო ფერის. ისინი ძირითადად წარმოადგენს ეგვიპტური ფაიანსის ჯგუფის მძივებს, რომლებიც ფართოდ ჩანს გავრცელებული ანტიკურ სამყაროში, როგორც ადრეულ ეპოქებში, ასევე, რომაულ ხანაშიც. აფსაროსის მძივები ახ.წ. II-IV სს დათარიღებული. მსგავსი მძივები მოპოვებულია სოფელ მახოს ახ.წ. III საუკუნითა და ახ.წ. IV საუკუნის დამდეგით დათარიღებულ სამარხებშიც (ა. კახიძე, თ. შალიკაძე 2015:113). გარდა ამისა, გვაქვს შავი ფერის მინის რგოლისებრი ფორმის მძივი, რომელიც მხოლოდ ერთი ცალია.

წლევიანდელ მონაპოვარში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული პატარა ზომის ირმის ქანდაკება, რომელსაც რქებზე არწივი აზის.

მოჭიქული კერამიკა წარმოდგენილია ჯამის პირისა და ძირ-კედლის ფრაგმენტებით (გ.ა. 2017. 103, 213, 209), რომლებიც მთლიანადაა დაცული. დიდი ზომისაა, ჩალისფერკეციანი, რგოლისებრი დაბრტყელებული ძირით. ორივე მხარეს გადავლებული ჰქონია მოყვითალო ფერის ჭიქური. ძირის დმ. 10,7 სმ-ია. როგორც თიხის მიხედვით ჩანს, ისინი ადგილობრივ ნაკეთობის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს. აფსაროსში აღმოჩენილი მსგავსი ნაკეთობები თარიღდება XVII-XVIII სს. ლანგრის პირ-კედლის ფრაგმენტები (გ.ა. 2017. 13; 14; 25), აქვთ კიდეაკეცილი, ბრტყელი პირი, რომელიც გარეთკენაა გადაშლილი. ტანი მომრგვალებული, შიდა პირზე გადავლებული აქვს მწვანე ფერის ჭიქური. მსგავსი გაფორმების ჭურჭლები ჩნდება XVI საუკუნის დასაწყისიდან და არსებობს XVII საუკუნის შუა ხანებამდე. წარმოადგენს იმპორტულ ნაკეთობას (ქამადაძე, 2014: 325–328; 2016:78–102).

ფაიანსის თევზის პირ-კედლისა და ძირის ფრაგმენტები (გ.ა. 2017. 93), აქვს ბტყელი, გარეთკენ გადაშლილი კიდე და აკეცილი პირი. გაფართოებული ტანი, რგოლისებრი ქუსლი

და ბრტყელი ძირი. კედელზე საგანგებო ნახვრეტია დატანილი. დაფარულია ცისფერი საღებავებით შესრულებული მცენარეული ორნამენტებით. ძირის დმ-10სმ-ია. დამზადებულია იზნიკში, II დამასკოს სტილით 1515/30-1555 წწ. (ქამადაძე, 2014 (1): 223-232). კობალტის თეფშის პირ-კედლის ფრაგმენტი (გ.ა. 2017. 93), სადა, მომრგვალებული კიდიტ. შიგნით და გარეთ მოხატულია ცისფერი საღებავით შესრულებული მცენარეული ორნამენტით. ეს ნიმუშიც დამზადებულია იზნიკში, II დამასკოს სტილით 1525/30-1555წწ (ქამადაძე, 2014 (2): 223-232). ერთ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ფაიანსის ჯამის, ფიალისა თუ თეფშის პირ-კედლისა და ძირის მცირე ფრაგმენტები (გ.ა. 2017. 12; 18; 102). შიგა პირზე თეთრ ფონზე ყავისფერი და მწვანე საღებავებით შესრულებულია მცენარეული ორნამენტი. დამზადებულია იზნიკში, III როდოსული სტილით 1550-1700 წწ. (ქამადაძე, 2016:78-102). ქუთაჰური ნაწარმი წარმოდგენილია ფინჯნის პირ-კედლის ფრაგმენტებით (გ.ა.2017. 2). მოხატულია ცისფერი კობალტის საღებავით, თარიღდება XVII-XVIII სს. (ქამადაძე, 2016¹:48-61).

შუასაუკუნეებით თარიღდება კეცის ფრაგმენტები (გ.ა. 2017. 60; 61; 94), ესენია ყავისფერკეციანი, მასიური, მომრგვალებული პირითა და ბრტყელი ძირით. გვაქვს ასევე დოქის ყური (გ.ა. 2017. 59) ყავისფერკეციანი, ოვალურგანივკვეთიანი, ზედაპირზე წყვეტილი ჭდეებით. დმ. 3,6 სმ-ია. ყავისფერკეციანი შანდალი (გ.ა. 2017. 15), აქვს ცილინდრული ფორმის სასანთლე კორპუსი, რომელსაც მიუყვება ჯამისებრი დაბოლოება. ზომები სიმაღლე 11,1 სმ; ძირის დმ. 3,7 სმ. ჩიბუხი (გ.ა. 2017. 17). ნაცრისფერკეციანი, აქვს ბრტყელი კორპუსი და მოკლე სატარე მილი. შემკულია დახრილი გეომეტრიული ჭდეების ორნამენტით. თარიღდება XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისით. მსგავსი ტიპის ჩიბუხები აფსაროსის გარდა გვხვდება გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა ძეგლებზე: თბილისში, გორში, ყარაღაჯში, მცხეთაში, რუსთავში, გრემში, გუდარეხში, დმანისში, და სხვ. (ქამადაძე, 2016: 134), რაც შეეხება ზომებს, სიგრძე 5,5 სმ-ია, ხოლო კორპუსის დმ - 3,4 სმ.

რკინის ნივთები წარმოდგენილია ლურსმნების სახით (გ.ა. 2017.16; 23; 216; 220). ისინი ძირითადად ოთხკუთხაგანივკვეთიანია, დაბრტყელებული თავით. სიმაღლე 6,1 სმ; 7,7 სმ; 13 სმ 9,5 სმ. ნალი (გ.ა. 2017. 218), პატარა ზომის, დმ 5,9სმ-ია. რკინის კაუჭი (გ.ა. 2017. 211).

გვხვდება ქვის საშუალო და პატარა ზომის ბირთვები (გ.ა. 2017. 5; 39; 62), ერთია ქვის სალესი (გ.ა. 2017. 24).

გამოყენებული ლიტერატურა:

- აფაქიძე გ., 1977 – ბიჭვინთის სამშენებლო კერამიკა – დიდი პიტიუნტი (კრ. II), გვ: 223–248; გამომცემლობა „მეცნიერება“ თბილისი
- ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ., 1975: – ბიჭვინთაში მოპოვებული ამფორები – დიდი პიტიუნტი (კრ. I), გვ: 252–279; გამომცემლობა თბილისი.
- ებრალიძე ტ., 2002: – ლუთერიები გონიო-აფსაროსიდან ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები III, ბათუმი, 2002, გვ.89-93.
- ებრალიძე ტ. 2004: იმპორტული კერამიკა – გონიო-აფსაროსი. IV. ბათუმი, 2004, გვ.108-120
- ებრალიძე ტ. 2005: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვის-პირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით) – გონიო-აფსაროსი VI, ბათუმი.
- კახიძე ა., მამულაძე შ., ებრალიძე ტ. 2002: 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქე-ოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში. – გონიო-აფსაროსი, III, ბათუმი
- კახიძე ა., მამულაძე შ. 2004: სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. – გონიო-აფსაროსის IV, ბათუმი.
- კახიძე ა., შალიკაძე თ. 2009: მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან.- ფიჭვნარი IV გონიო-აფსაროსი IX ბათუმი – ოქსფორდი.
- ლორთქიფანიძე ო., 1975 – ბიჭვინთის შიდა ციხის მე-13 ნაკვეთის არქეოლოგიუტი გათხრები და იქ აღმოჩენილი არქიტექტურული კომპლექსი – დიდი პიტიუნტი (კრ. I),
- მამულაძე შ., შალიკაძე თ., ასლანიშვილი ლ. 2013: გონიოს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში 2012 წელს წარმოებული გათხრების მოკლე ანგარიში. – აჭარა წარსული და თანამედროვეობა I. ბათუმი.
- სულავა 2009: გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 2004-2005 წლების კვლევა-ძიების შედეგები SW სექტორში (აბანოთუბანი).-გონიო-აფსაროსი VIII.
- ქამადაძე ვ. 2014 (1)– გვიანშუასაუკუნეების იზნიკური კერამიკა გონიო-აფსაროსიდან, აჭრის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება სააქრივო სამმართველოს მიერ ორგანიზებული IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, მასალები, თბილისი.

ქამადაძე ვ. 2014 (2)– გვიანი შუასაუკუნეების ერთფრად მოჭიქული კერამიკა გონიო-აფსაროსიდან, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში – II”, მასალები, ნაწილი III ბათუმი,

ქამადაძე ვ. 2016 – სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) გვიან შუასაუკუნეებში (წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით), (დისერტაცია).

შალიკაძე თ. 2004 – მინის ნაწარმი.- გონიო-აფსაროსი IV, ბათუმი

ხალვაში მ. 2000: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის საქალაქო ცენტრები (გონიო-აფსაროსი) – ქალაქები სასაქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი

ხალვაში მ. 2002 - კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი.

Алексеева Е. М. Сорокина Н. П. (2007), Коллекция стекла античной Горгиии. – (I-III вв) Масква


Кунина Н. З., Сорокина Н. П. (1972), Стекланные бальзамарий Боспора. - ТГЭ, XIII, сс. 146-177.


Кунина Н. З. (1997), Античноестекловсобрании Эрмитажа, Санкт-Петербург


Сорокина Н. П. (1962), Стеклоизраскопок Пантикапея 1949-1959.-МИА, 103, сс. 210-236.


Сорокина Н. П. (1963), Позднеантичное и раннесредневековое стекло Таманского гор-одища. - Керамика и стекло древней Тмутаракани М., сс. 134-169.

Isings Ch. 1957: – Roman Glass from Dated Finds. Groningen/Jakarta
















ტაბ.8





1



2



3



4



5



6




7



8



9



10



11



1



2



3



4



6



7



8



9



10



11




5



12



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



1



2



3



4



5



6



7



8



9



10

12



11



31

2. ციხის სამხრეთ-დასავლეთ უბანზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები (SW IX სექტორი)

2017 წლის ივლისს-აგვისტოში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით გონიო-აფსაროსის ციხის შიდა ტერიტორიაზე განახლდა არქეოლოგიური ექსპედიცია. ჩვენი ჯგუფი სამუშაოებს აწარმოებდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში. ამ უბანზე გასულ წელს გამოვლინდა რომაული ეპოქის I (ზედა) სამშენებლო დონის ყაზარმის ნაშთები (ტაბ.I/1-2). წელს თხრილი გავაფართოეთ დასავლეთის მიმართულებით. ჩვენს მიზანს შეადგენდა ოსმალური და ბიზანტიური კულტურული ფენების შესწავლა და რომაული პერიოდის კულტურულ ფენაზე დასვლა. მიზნის მისაღწევად სამუშაოები ვაწარმოეთ SW IX სექტორის 41-44; 31-34 და 21-24 კვადრატებში (კვადრატების ზომები: 4x4 მ; თხრილის სიგრძე: 12; სიგანე-16 მ; მთლიანი შესასწავლი ფართობი 192 კვ.მ). პარალელურად ვიმუშავეთ SW VI და SW IX სექტორების 94-91; 84-81; 14-11; 4-1 კვადრატებში და დავასრულეთ რომაული ყაზარმის I სამშენებლო (ზედა) დონის შესწავლა.

თავდაპირველად ავგეგმეთ ტერიტორია და დავიწყეთ ჰუმუსის ფენის აღება (ტაბ.II/1-2). ჰუმუსში გვხვდებოდა როგორც ოსმალური, ისე ბიზანტიური და რომაული პერიოდის სხვადასხვა კერამიკის, ძირითადად კრამიტების უსახური ნატეხები.

სამუშაოების დასასრულს მივიღეთ შემდეგი სურათი: SW VI სექტორის 94-91; 84-81 და SW IX სექტორის 4-1; 14-11 კვადრატებში მდებარეობს რომაული პერიოდის I (ზედა) სამშენებლო დონის ყაზარმა (ტაბ.I/1-2; II/3). იგი საკმაოდ დიდი ზომისაა და დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. შენობა სიგანეში 16,2 მ-ია და გალავნის კედლიდან 7,40 მ-ითაა დაშორებული. შენობის კედლები ჩრდილოეთით გაუთხრელ ფართობში შედის. მისი ამჟამად დაცული სიგრძე 20,40 მ-ია (გარე ზომები). შიდა სივრცე შუალედური დერეფნით ორ ნაწილადაა გაყოფილი (დასავლეთი მხარე-6,40 მ; აღმოსავლეთი მხარე-6,80მ). ამჟამად დერეფნის მხოლოდ უკიდურესი სამხრეთი მონაკვეთი 5 მ სიგრძეზეა კარგად შემორჩენილი. მის საპირისპიროდ აღმოსავლეთით მდებარე კედელი შედარებით განიერია და წარმოადგენს შუა მზიდ კედელს (კედლის სისქე 65-70 სმ). შემორჩენილია საძირკვლის წყობის ორი რიგი. წყობაში პერანგებად გამოყენებულია

გვერდებჩამოსწორებული თუ დამუშავებული ქვები, ხოლო სამაგრ მასალად თიხისა და წვრილმარცვლოვანი ქვიშის ნაზავი. აქა-იქ გვხვდება კერამიკის ნატეხებიც. ნაგებობის უკიდურესი აღმოსავლეთი გარე მზიდი კედელი დასაწყისში და დასასრულში 65-70 სმ სისქისაა. შუა მონაკვეთში 8,50 მ-ის სიგრძეზე კი გაფართოებულია 1,10-1,40 მ-მდე. აქაც შემორჩენილია წყობის ორი რიგი, ზოგან კი სამი. საკმაოდ კარგადაა დაცული დასავლეთის მზიდი კედელიც, აქაც კედლის სისქე 65-70 სმ-ია.

ნაგებობა მოგრძო ფორმის ორქანობიანი შენობის მსგავსია. ასეთი შენობის შუა ნაწილი გვერდით მზიდ კედლებთან შედარებით უფრო მაღალია. საძირკველი ქვისაა, მათზე აღმართული კედლები კი ხის. მსგავსი კედლის ნაშთები გვხვდება ციხის სხვადასხვა უბნებზეც [კახიძე, მამულაძე 2004: 4-107].

წელს SW IX სექტორის 14-11 და 24-21 კვადრატებში გამოიკვეთა, ასევე ყაზარმის II (ქვედა) სამშენებლო დონე (ტაბ.I/1-2; ტაბ.III/1-2). II (ქვედა) სამშენებლო დონე I (ზედა) სამშენებლო დონიდან 20-25 სმ-ით ქვემოთაა. მისი კედლების სისქე 65-70 სმ-ია. 11 და 12 კვადრატებში დაფიქსირდა წვრილმარცვლოვანი ქვიშით მოკენჭილ-მოტკეპნილი ამავე სამშენებლო პერიოდის იატაკიც (ტაბ.III/2). იატაკის ირგვლივ უსისტემოდ ჩაყრილი ქვის წყობაა, რომელიც როგორც ჩანს II სამშენებლო დონის საძირკვლის ნაშთებია, რომელთა მოსწორება მოხდა და ზედ მოგვიანებთ I (ზედა) სამშენებლო დონის შენობის იატაკი გააკეთეს.

როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა ყაზარმის გვერდით II სამშენებლო დონის იატაკზე გვიან შუასაუკუნეებში ოსმალებს სხვა ტიპის ნაგებობა გაუმართავთ. შენობის გამართვის დროს დაუზიანებიათ რომაული და ბიზანტიური კულტურული ფენები. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს 21-24 კვადრატებში. კვადრატები მთელ სიგრძეზე ორ თანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი (ტაბ.III/2-3). აღმოსავლეთ მხარეს რომაული პერიოდის II სამშენებლო დონის კულტურული ფენაა, ხოლო დასავლეთ მხარეს ამავე დონეზე შავი დამწვარ-დანახშირებული ოსმალური ფენა, რომელიც თითქმის თანაბრად ვრცელდება 34-31 და 44-41 კვადრატებშიც (ტაბ.III/2-3). შენობა გარკვეული მიზეზების გამო გვიან შუასაუკუნეებშივე გადამწვარა. ნაგებობის გამართვის დროს, როგორც აღინიშნა მთლიანად არის განადგურებული ბიზანტიური ფენა, ხოლო ხანძრის გაჩენის შემდეგ

განადგურებულია ოსმალური პერიოდის მასალებიც. შავი დამწვარ-დანახშირებული ფენა თანამედროვე ზედაპირიდან 75-80 სმ სიღრმემდე გრძელდება. ნაგებობა ხის უნდა ყოფილიყო. 32 კვადრატში ფიქსირდება კიდევ სხვადასხვა ზომის ქვებისაგან შემოზღუდული ხის ბოძის ჩასასობად გაკეთებული ფოსო, რომელიც უშუალოდ რომაული პერიოდის II სამშენებლო დონის ოთკუთხა ფორმის ქვის ბაზისზეა გამართული (ტაბ.IV/1-3).

შენობა, როგორც ჩანს გადამწვარა ერთ-ერთი საბრძოლო მოქმედებების დროს, აქვეა დამწვარ ფენაში ზარბაზნის ლულის ნატეხიც (ტაბ.IV/2).

ოსმალურ პერიოდს უშუალოდ მოსდევს რომაული პერიოდის შენობის ოთხკუთხა ფორმის ბაზისები (ტაბ.IV/2-3). იგი თავის დროზე საკმაოდ მონუმენტური ყოფილა. ბაზისები წარმოდგენლია ოსმალური ეპოქის დამწვარ-დანახშირებული ფენის შუა მონაკვეთში, კერძოდ 34, 33, 32 და 31 კვადრატებში. მთელ ფართობზე გამოვლინდა სხვადასხვა ზომის 4 ბაზისი (ტაბ.1/1-2; ტაბ.III/3; ტაბ.IV/1). ბაზისები არათანაბარი მანძლითაა ერთმანეთისგან დაშორებული. სვეტისათვის განკუთვნილი შედარებით მომცრო ზომის ოთხკუთხა ბაზისი გამოვლინდა 21 კვადრატშიც.

ყაზარმის გვერდით მდებარე ეს შენობა სავარაუდოდ რომაულ პერიოდში წარმოადგენდა სამეურნეო უბანს. ამაზე მიანიშნებს აქ აღმოჩენილი წისქვილის რამოდენიმე ქვა. თუმცა ჯერჯერობით რაიმეს გადაჭრის თქმა ძნელია. აქვე ავლნიშნავთ, რომ სამეურნეო უბანი ციხის ამ ნაწილში გამოვლენილია წინა წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებების შედეგადაც [კახიძე, მამულაძე 2004: 4-107]. აღსანიშნავია ისიც, რომ ოსმალური ეპოქის დაწვარ-დანახშირებული მიწის ფენის აღების შემდეგ, რომაული ეპოქის ყავისფერი ფერის მიწის ფენა ფხვიერია და შეიცავს სილნარს. მაშინ როდესაც იმავე დონეზე ყაზარმის ტერიტორიაზე იატაკის ნაშთები და წვრილმარცვლოვანი ქვებით კარგად მოტკეპნილი ნიადაგია.

რაც შეეხება შესწავლილ ფართობს კვადრატების მიხედვით გვაქვს შემდეგი სურათი:

41 კვადრატი. მთლიანად მოვხსენით შავი დამწვარი ფენა, ამ კვადრატში არქეოლოგიური მასალები თითქმის არ გვხვდებოდა. მხოლოდ ჰუმუსში აღმოჩნდა მინის კონუსურად შეზნექილი სასმისის ძირი (გ.ა.2017.36). დამწვარ-დანახშირებულ ფენაში კი ლურსმნები (გ.ა.2017.82) და ოსმალური პერიოდის ყავისფერკეციანი

შანდლის ნატეხი (გ.ა.2017.65). წელს დავედით რომაული პერიოდის ფენაზე, თუმცა ჩანაჭარი შავი ფენა კვადრატის დასავლეთ ნაწილში მაინც ფიქსირდება. იგი სიგრძეში 80 სმ აღწევს და წინა წლებში შესწავლილი ბიზანტიური ეპოქის ფენაში შედის. მწირია რომაული პერიოდის მასალებიც. წარმოდგენლია მხოლოდ კოლხური ამფორის ძირით (გ.ა.2017.83). მინის სასმისის კონუსურად შეზნექილი რამოდენიმე ძირით (გ.ა.2017.127,128) და დანის ნატეხით (გ.ა.2017.84).

აქვე გამოიკვეთა სამხეთიდან ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი შენობის საძირკვლის ნაშთებიც.

42 კვადრატი. აქაც იგივე მდგომარეობაა. კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში 32 კვადრატის მიჯნაზე, insitu მდგომარეობაში დავაფიქსირეთ ოსმალური პერიოდის ზარბაზნის ლულის ნატეხი. მოვახდეთ მისი პრეპარაცია და დავტოვეთ ველზე სტრატეგრაფიისათვის. მასალები ძირითადად გვხვდებოდა 75 სმ სიღრმეზე, კერძოდ ესენია: ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთის ნატეხები (გ.ა.2017.52,76); ბადის ტყვიის საძირავი (გ.ა.2017.75); სხვადასხვა ამფორის პირ-კედლისა და ყურის ნატეხები (გ.ა.2017.72,77,78,79); დოქის ძირი (გ.ა.2017.73); მოყვითალო ელფერის მინის სასმისის ძირი (გ.ა.2017.81). შუბისპირები (გ.ა.2017.85,111) და ლურსმნის ფრაგმენტები (გ.ა.2017.112).

43 კვადრატი. აქაც დავედით რომაულ ფენაზე. კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობლია ქვის წყობის ფრაგმენტები, როგორც ჩანს ის შენობის საძირკვლისა უნდა იყოს და 41 კვადრატში დაფიქრებული წყობის გაგრძელებაა. მასთან ახლოს აღმოსავლეთის მხარეს 15 სმ-ში დევს მრგვალი ქვა, რომელიც სვეტის ბაზის წარმოადგენს. მისი დიამეტრი 32 სმ, ხოლო სიმაღლე 8,5 სმ. საძირკვლის წყობას 44 კვადრატის მიჯნაზე ებმის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი კიდევ ერთი ქვის წყობა. წყობის გვერდით დავაფიქსირეთ წისქვილის ქვაც. მალევე ამ კვადრატში 75 სმ სიღრმიდან გვხვდებოდა. კერძოდ ესენია ოსმალური ეპოქის ორი ლურსმანი (გ.ა.2017.51); ჩალისფერკეციანი, მცენარეული ორნამენტით გაფორმებული, ჩიბუხის ლულის ნატეხი (გ.ა.2017.53). ბიზანტიური ამფორის პირ-ყელის ნატეხი (გ.ა.2017.114). რომაულ ფენაში კი სხვადასხვა ამფორის პირ-კედლისა და ძირის ნატეხები, მათ

შორის სინოპურისაც (გ.ა.2017.115,116). ასევე შუბის პირი (გ.ა.2017.129), ბრინჯაოს ბალთისა (გ.ა.2017. 132) და სხვადასხვა ნივთის ფრაგმენტები (გ.ა.2017.133)

44 კვადრატი. აქ მხოლოდ დამწვარ-დანახშირებული ფენაა. ჰუმუსში აღმოჩნდა კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული გულეებით გაფორმებული ფაიანსის დოქის პირ-კედელი (გ.ა.2017.35). ჰუმუსის ალების შემდეგ კი 65 სმ სიღმეზე წითელკეციანი ამფორის პირ-ყელის ნატეხი (გ.ა.2017.17). კიდევ 10 სმ-ით დაღმავების შემდეგ, 85 სმ-ზე, თავი იჩინა რომაულმა მასალებმაც. ესენია: ყავისფერკეციანი წელშეზნეკილი კოლხური ამფორის ნატეხები (გ.ა.2017.64,143); ჩალიფერკეციანი, სუფთად განლეკილი დოქის ყურის ნატეხი (გ.ა.2017.66); უქუსლო, ოდნავ შეზნეკილი ძირიანი მინის სასმისი (გ.ა.2017.67). ბრინჯაოს ნივთის ფრაგმენტი (გ.ა.2017.134) და ბირთვი (გ.ა.2017.139). ამავე დონეზე იყო ბიზანტიური ამფორის პირ-კედლისა და ყურის ნატეხები (გ.ა.2017. 140, 141). 95 სმ სიღმეზე უშუალოდ რომაულ მასალებთან: წითელკეციან ამფორის პირ-ყელთან (გ.ა.2017.45) და ქოთნის პირ-კედლის ნატეხთან (გ.ა.2017.41) იყო ყავისფერკეციანი ჩიბუხიც (გ.ა.2017.42).

31 კვადრატი. კვადრატის დასავლეთით 32 კვადრატის მიჯნაზე ფიქსირდება მოზრდილი მართკუთხა ფორმის ბაზისი (ზომები: 60x55 სმ.). მსგავსი ბაზისია ამ კვადრატის ჩრდილოეთითაც (ზომები: 65x50 სმ.). არქეოლოგიური მასალები თითქმის არ გვხვდება, გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთის რამოდენიმე ნატეხი (გ.ა.2017.74).

32 კვადრატი. კვადრატის დასავლეთ ნაწილში ოსმალურ ფენაში, დაფიქსირდა სვეტისათვის განკუთვნილი ფოსო. მისი დმ-60 სმ-ია, ფოსო გამართულია რომაული შენობის სვეტისათვის განკუთვნილ ოთკუთხა ბაზისზე, რომელსაც ძირზე აქვს ოთკუთხა ნახვრეტი. ბაზისის სიგანე 50 სმ-ია. ფოსოსა და ბაზის შორის დაშორება -50 სმ-ია. ფოსოს გვერდით დასავლეთით მდებარეობს ზარბაზნის ლულის ნატეხი (42 კვადრატის მიჯნაზე). მასალები შერეულად გვხვდება 75 სმ სიღრმეზე, კერძოდ: ლურსმნები (გ.ა.2017.56), ისრისპირის ფორმის რკინის ნივთი (გ.ა.2017.57); ხოლო 85-90 სმ სიღმეზე ამფორის პირ-ყელის ნატეხი (გ.ა.2017.59); კოლხური ამფორის ძირი (გ.ა.2017.68); მინის სასმისის ძირი (გ.ა.2017.94); კალორიფელი (გ.ა.2017.113). აქვე იყო ბრინჯაოს ორი მონეტაც.

33 კვადრატის. კვადრატის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს მოზრდილი ოთკუთხა ფორმის ქვის ბაზისი. მისი ზომებია 90x75. დასავლეთით 34 კვადრატის მიჯნაზე ფიქსირდება ოსმალური ეპოქის უსისტემოდ ჩაყრილი წვრილი ქვები, რომელშიც აქა-იქ შერეულია კრამიტისა და აგურის ნატეხები, ასეთივე მდგომარეობაა 23 კვადრატის მიჯნაზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. აქვე დაფიქსირდა წისქვილის ქვის ნატეხი. 60-65 სმ სიღრმეზე წარმოდგენილი იყო რომაული ეპოქის კონუსურად შეზნექილი (გ.ა.2017.9) და ბრტყელძირიანი მინის სასმისის ნატეხები (გ.ა.2017.11). ჩალისფერკეციანი დოქის ძირი (გ.ა.2017.15). თუმცა აქვე იყო ოსმალური პერიოდის ჯამის პირ-კალთის ნატეხი (გ.ა.2017.14). იგივე მდგომარეობაა 75-80 სმ სიღრმეზეც. აქ ოსმალური ეპოქის ლურსმნებთან (გ.ა.2017.55,144) ერთად გვხვდება ბიზანტიური პერიოდის მწვანე ელფერის სფერულფეხიანი სასმისი (გ.ა.2017.148) და უსახური ბრინჯაოს ნივთის ნატეხი (გ.ა.2017.54). ამავე კვადრატში 95 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ქანდაკების ხელიც.

34 კვადრატის. ყველაზე მეტად ეს კვადრატია დატვირთული და ჰუმუსშიც მასალები ძირითადად ამ კვადრატიდან იყო წარმოდგენილი. კვადრატის მთელ ფართობზე მიმოხეულია ქვის სხვადასხვა ზომისა და ფორმის წყობა, რომელშიც აქა-იქ შერეულია კრამიტისა და აგურის ნატეხები. 24 კვადრატის მიჯნაზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში insitu მდგომარეობაშია კიდევ ერთი წისქვილის ქვის ნატეხი. კვადრატის ცენტრალურ ნაწილში არის მოზრდილი ქვის ბაზისი ზომები: 55x60 სმ. აქაც შერეულადაა წარმოდგენილი ოსმალური და რომაული მასალები: კონუსურად შეზნექილი (გ.ა.2017.7) და ბრტყელძირიანი მინის სასმისის ძირები (გ.ა.2017.8), მინის სანელსაცხებლის პირ-ყელი (გ.ა.2017.138) სინოპური ლუთერიის პირი (გ.ა.2017.16) და ლურსმნები (გ.ა.2017.58,146).

21-24 კვადრატები როგორც ზემოთ აღინიშნა თითქმის მთელ სიგრძეზე ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. დასავლეთ მხარეს შავი დამწვარი-დანახშირებული ოსმალური ფენაა, ხოლო აღმოსავლეთით იმავე დონეზე რომაული პერიოდის II სამშენებლო პერიოდის იატაკი და კულტურული ფენა.

21 კვადრატის. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს სვეტისათვის განკუთვნილი მრგვალი ქვა (ზომები: დმ-30 სმ). მისგან აღმოსავლეთით 20 სმ-ით

მაღლა მდებარეობს კიდევ ერთი შედარებით მოზრდილი მგავსი ქვა (ზომები: დმ-38 სმ). II (ქვედა) სამშენებლო პერიოდის იატაკის დონეზე გვხვდება სოლენის ტიპის კრამიტის ნატეხები, ამავე დონეზე მე-11 კვადრატთან ახლოს აღმოსავლეთით ფიქსირდება მართკუთხა ფორმის ბაზისი, რომელსაც ცენტრში ბოძის ჩასასობად დატანილი აქვს მრგვალი ნახვრეტი. მასალათა უმრავესობაც ამ კვადრატში სწორედ რომაულ პერიოდს გაეკუთვნება და თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოებით 90-95 სმ-ის ჩაღმავების შემდეგ გვხვდება, ესენია: ვარდისფერკეციანი, სუფთად განლექილი, წითელლაკიანი ჯამის ძირი (გ.ა.2017.43); ვერტიკალურწიბოიანი ფიალის კედლის ნატეხი (გ.ა.2017.44₁). სინოპური ამფორის ძირი (გ.ა.2017.44.); კოლხური ამფორის ძირები (გ.ა.2017.60,101); სხვადასხვა ამფორის ძირის, პირ-ყელისა და ყურის ნატეხები (გ.ა.2017.46,47,49,50.,51,61.86,98,100), ვარდისფერკეციანი (გ.ა.2017.87,88) და ჩალისფერკეციანი (გ.ა.2017.89) სუფთად განლექილი დოქის ძირები; მოყვითალო ელფერის მინის სასმისის ძირი (გ.ა.2017.92). კონუსურფეხიანი სადგამიანი ჭურჭელი (გ.ა..2017.97), ქვაბ-ქოთნის პირ-კედლის ნატეხი (გ.ა.2017.99); დეკორატიული აგური (გ.ა.2017.102), ლუთერია (გ.ა.2017.150) და ბრინჯაოს რგოლის ნატეხი (გ.ა.2017.95).

თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს ფენაც დარღვეულია რადგან ამავე სიღმეზე აღმოჩნდა ასევე ბიზანტიური ნარინჯისფერკეციანი ამფორის ძირის, პირ-ყელისა და ყურის ნატეხები (გ.ა.2017.62,90) და ასევე ბიზანტიური პერიოდის წელშეზნექილი კოლხური ამფორის კედლის ნატეხი (გ.ა.2017.63).

22 კვადრატი. აქ ფიქსირდება ოსმალური პერიოდის უსისტემოდ მიმოზნეული ქვის წყობის ნაშთები. ყველაზე ცოტა რაოდენობით არქეოლოგიური მასალები სწორედ ამ კვადრატშია წარმოდგენილი კერძოდ ესენია: ხუფი (გ.ა.2017.5); მინის ბოთლისებური ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი (გ.ა.2017.6). აქვე იყო ბრინჯაოს მონეტისა და სხვადასხვა ბრინჯაოს ნივთების უსახური ნატეხები; ქვაბ-ქოთანი (გ.ა.2017.93) და ლურსმნები (გ.ა.2017.34)

23 კვადრატი. კვადრატის დასავლეთ მხარეს დამწვარ-დანახშირებულ ფენაში წარმოდგენილია აგურისა და ბრტყელი კრამტის ნაშთები. ამ კვადრატში ოსმალურ მასალებთან ერთად აღმოჩნდა ბიზანტიური მასალებიც, კერძოდ: ბრინჯაოს მონეტა (გ.ა.2017.1) რომლის რევერსზეც იკითხება M და ნარინჯისფერკეციანი დოქი

(გ.ა.2017.4). ამავე კვადრატის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა ოსმალური ორმოც. მასში წარმოდგენილი: ყავისფერკეციანი ჩიბუხის ნატეხი (გ.ა.2017.3), მწვანედ მოჭიქული შანდლის ნატეხი (გ.ა.2017.2) და ქუთაჰიური პოლიქრომული ყავის ფინჯანი (გ.ა.2017.23). აქვე იყო ქიმისებრშვერილიანი ამფორის ყური (გ.ა.2017.142); ბრინჯაოს ფირფიტა, ღრუიანი მილის ნატეხები (გ.ა.2017.80) და ბრინჯაოსაგან დამზადებული ფრინველის ფიგურა.

24 კვადრატი. სხვა კვადრატებისაგან განსხვავებით ყველაზე მეტად ბიზანტიური მასალები, აქ არის წარმოდგენილი, კერძოდ ესენია: 60-65 სმ სიღმეზე აღმოჩენილი ქოთნის პირ-კედლის ნატეხი (გ.ა.2017.13); ბიზანტიური ამფორების პირ-კედლის ნატეხები (გ.ა.2017.12,20). ხელადისა (გ.ა.2017.21) და დოქის ძირები (გ.ა.2017.22). 90 სმ სიღმეზე კი უკვე უშუალოდ რომაული მასალებია: ხუფი. (გ.ა.2017.40), ამფორის პირ-ყელის ნატეხი (გ.ა.2017.69), ჩალისფერკეციანი, სუფთად განლექილი ჭრაქის მარყუქისებრი ყური (გ.ა.2017.70). მინის სასმისის კონუსურად შეზნექილი ძირი (გ.ა.2017.71) და სინოპური ლუთერიის პირ-კედელი (გ.ა.2017.149).

11-14 კვადრატები. კვადრატების ოსმალური და ბიზანტიური პერიოდების და ასევე და რომაული პერიოდის I სამშენებლო დონის შესწავლა გასულ წელს განხორციელდა. კვადრატების აღმოსავლეთ ნაწილში გამოკვეთილია რომაული პერიოდის ორი სამშენებლო პერიოდის შენობის საძირკვლის ნაშთები. აქ შემოვიტოვეთ წვრლმარცვლოვანი ქვიშით მოკენჭილ-მოტკეპნილი II სამშენებლო პერიოდის იატაკი (აღწერილობა იხ. ზემოთ).

11 კვადრატი. II სამშენებლო პერიოდი იწყება I სამშენებლო დონიდან 20-25 სმ-ის შემდეგ. მისი კედლების სისქე 65-70 სმ-ია. საძირკვლის წყობის გვერდით დასავლეთ მხარეს მოემართება კიდევ ერთი ქვის წყობის ნაშთები და გრძელდება 12 და 13 კვადრატებშიც. მასალებიც შესაბამისია: სინოპური ლუთერიის პირ-კედლის ნატეხები (გ.ა.2017.29,106); კოლხური ამფორის ძირი (გ.ა.2017.30); კრამიტები (გ.ა.2017.31,131) მინის სასმისის კონუსურად შეზნექილი ძირები (გ.ა.2017.32,125,126); ხუფები (გ.ა.2017.37,107), ქოთნის პირ-კედლის ნატეხები (გ.ა.2017.38,39); ქვაბ-ქოთნის პირ-კედლის ნატეხები (გ.ა.2017.103,120,123,124,136); ამფორის ყური (გ.ა.2017.104), დოქის ძირები (გ.ა.2017.105,122) და ძაბრისებრპირიანი ამფორის პირ-კედელი (გ.ა.2017.137).

12 კვადრატი. I სამშენებლო დონის იატაკზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დოქის ძირის, ყურისა და პირ-კედლის ნატეხები (გ.ა.2017.117); ჩალისფერკეციანი სუფთად განლექილი ჯამის პირ-კალთა (გ.ა.2017.118); ყავისფერკეციანი ამფორის ძირი (გ.ა.2017.130) და ქოთნის ბრტყელგანივკვეთიანი ყური (გ.ა.2017.135).

13 კვადრატი. მსგავსი სურათია 13 კვადრატშიც. აქაც I სამშენებლო დონის იატაკზე წარმოდგენილი იყო ჩალისფერკეციანი სუფთად განლექილი დოქის პირ-კედლის ნატეხი (გ.ა.2017.24); სხვადასხვა ამფორის ყელის, პირ-კედლისა და ყურის ნატეხები და (გ.ა.2017.25,28). ქოთნის პირ-კედლის ნატეხები (გ.ა.2017.26,27) და ბრტყელძირიანი სასმისის ძირი (გ.ა.2017.147)

14 კვადრატი. ამ კვადრატშიც მსგავსი მასალებია: ქოთნის პირ-კედლის, (გ.ა.2017.18), ყურის (გ.ა.2017.110) და ამფორის პირ-ყელისა (გ.ა.2017.19) და ძირის (გ.ა.2017.145) ნატეხები, დოქის ძირი (გ.ა.2017.33); შურდულის ქვა (გ.ა.2017.108) და ბირთვი (გ.ა.2017.109)

არქეოლოგიური მასალები: წლევეანდელი განათხარი მასალა წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდის კერამიკით (სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების-ამფორები, ლუთერიები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, დოქები, ჯამები, ფაიანსი, ფაიფური, მოჭიქული ჭურჭელი და ა.შ.); სამშენებლო კერამიკით-კრამიტები, აგურები; მინის ნაწარმით (სასმისები, ფიალები); რკინის ნივთებით, მონეტებით, ბირთვებით და ა.შ. ისინი წინა წლებში აღმოჩენილი ნიმუშების მსგავსია [იხ.კახიძე, მამულაძე 2004:4-107; თავამაიშვილი, ინაიშვილი 2013:164-186; მამულაძე, შალიკაძე...2013:187-221; მამულაძე, შალიკაძე...2017:207-238; მამულაძე, შალიკაძე...2017: 238-258]

ოსმალური ფენა. ამ ეპოქის მასალები არ გამოირჩევა მრავალრიცხოვნობით. წარმოდგენილია მხოლოდ, რამოდენიმე მოჭიქული ჯამის, შანდლის, ფაიანსის, ფაიფურის და სადა კერამიკის ნატეხებით. მსგავსი ნაწარმი XVI-XVII და XVIII საუკუნეების სხვადასხვა მონაკვეთებითაა დათარღებული [ქამადაძე 2014 ა:325-328; 2014 ბ:223-232; 2015:417-426; 2016ა: 246-51; 2016ბ:48-61]. როგორც ზემოთ აღინიშნა ეს ფენა ხანძრის შედეგადაა განადგურებული.

ბიზანტიური ფენა. სუსტია ბიზანტიური ფენაც. გვხვდება მხოლოდ სხვადასხვა ტიპის ტანდალარული ამფორის, პირ-ყელის, ტანისა და ყურის,

რამოდენიმე ნატეხი. გონიო-აფსაროსის მონაპოვრების მიხედვით შემუშავებულია მათი კლასიფიკაცია და გამოყოფილია 7 ტიპი [ხალვაში 2002: 42-58, სურ.3].

რომაული ფენა. მასალების სიუხვით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა რომაული პერიოდი. გვხვდება წითელლაკიანი კერამიკის, ამფორების, ლუთერიების, ქოთნების, ქვაბ-ქოთნების, დოქების, ჯამების ნატეხები, საამშენებლო კერამიკა, მინის ნაწარმი, ლურსმნები, მონეტები და ა.შ. მასალების უმთავრესი ნაწილი წარმოდგენილი იყო 11-14 და 21-24 კვადრატებში.

განხილვას დავიწყებთ წითელლაკიანი კერამიკით. უმრავლესობას სხვადასხვა ჯამის ნატეხები ქმნიან. ისინი თარიღდებიან ახ.წ. I ს-ის II-III მეოთხედით [ებრალიძე 2005:34-35;სურ.8], ახ.წ. I ს-ის ბოლოთი და II ს-ის I ნახევრით [ებრალიძე 2005:38; სურ.13; ტაბ.II/1], II-III სს-ით და პერგამონის საწარმოო ცენტრის ნაწარმადაა მიჩნეული [ებრალიძე 2005:42]. წითელლაკიან კერამიკის შემდეგი ჯგუფია სანელსაცხებლები. ამ ტიპის ჭურჭელი ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება [ებრალიძე 2005:45-46,სურ.21;ტაბ.IV/1].

კერამიკის შემდეგ სახეობას ჭრაქები ქმნიან. წლევანდელ მასალებში გვხვდება ჭრაქის მხოლოდ ერთი სუფთად განლეკილი მარყუჟისებრი ყური. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი რომაული ჭრაქები ქრონოლოგიური თვალსაზრისით ახ.წ. I-III სს განეკუთვნებიან და უმრავლესობა პერგამონის საწარმოო ცენტრის ნაწარმადაა მიჩნეული. თუმცა, გვხვდება სამოსისა და დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პროდუქციაც [ებრალიძე 2005: 53-66].

რამოდენიმე ნატეხითაა წარმოდგენილი სინოპური ლუთერიებიც. გამოიყოფა ერთი ტიპის ორი სახეობა: ა) ახასიათებთ ჰორიზონტალურად გადაშლილი პირი, რომლის ზედაპირიც მომრგვალებულია. შიდა კალთა ტანისაგან გამოყოფილია ბასრი იარაღით შესრულებული ღარით. ანალოგიურად გაფორმებული ლუთერიები ახ.წ. I-II სს-ითაა დათარიღებული [ებრალიძე 2005:69.სურ.50]. ბ). აქვთ მომრგვალებულ ზედაპირიანი ჰორიზონტალურად გადაშლილი პირი. შიდა კალთა ტანისაგან გამოყოფილია მსუბუქი ღარით. აფსაროსის ამ ვარიანტის ლუთერიები II-III სს-ით თარიღდება [ებრალიძე 2005:69.სურ.51].

კერამიკის შემდეგ ჯგუფს სამზარეულო თუ სუფრაზე მოსახმარი კერამიკა ქმნის. საერთოდ გონიო-აფსაროსში ხშირად ჩნდება რომაული ხანის ამ პერიოდის

ჭურჭელი. გამოთქმულია თვალსაზრისი მეციხოვნეების მიერ მათი ადგილზე დამზადების შესახებ და ამიტომ მათ რომანიზებული ფორმები უწოდეს [კახიძე, მამულაძე 2004:54]. წარმოდგენილია ქვაბ-ქოთნების, ქოთნების, დოქებისა და ჯამების სახით. ქვაბ-ქოთნებს აქვთ სწორი ტანი და გადაშლილი, პროფილირებული პირი, ზოგიერთს მათგანს შერჩენილი აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ყურებიც. ჰქონიათ ბრტყელი ძირი. ქოთნებს ახასიათებთ გარეთ გადაშლილი პირი, სწორი ან არათანაბრად დაშვებული ტანი, ბრტყელი ან მრგვალგანივკვეთიანი ყური და ბრტყელი ძირი. შემდეგ ჯგუფს დოქები წარმოადგენს. დოქების ნაწილი სუფთადაა განლექილი. მათ ახასიათებთ ვარდისფერი ან მოწითალო კეცი. ძირისაკენ შევიწროვებული ტანი და ბრტყელი ძირი. დოქების ნაწილი პატარაა. ახასიათებთ ვარდისფერი კეცი, გარეთ გადაშლილი პირი, მომრგვალებული ტანი და ბრტყელგანივკვეთიანი ყურები. გვხვდება რუხკეციანი, თხელკედლიანი ნიმუშებიც. ნატეხების სახითაა წარმოდგენილი ხელადებიც. აქვთ ბრტყელი ძირი, სწორი ტანი, მომრგვალებული სქელი ბაკო და ცილინდრული ყელი. ჯამები წარმოდგენილია პირის, კალთის და ძირის ნატეხებით. ზოგიერთი მათგანი ჩალისფერკეციანია, სუფთად განლექილი. ახასიათებთ გარეთ გადაშლილი კალთა და რგოლისებრი, დაბალი გამოყვანილი ქუსლი.

რამოდენიმე ერთეულითაა წარმოდგენილი თიხის ხუფებიც. კონუსურად შეზნექილ ზედაპირზე შემორჩენილი აქვთ ბრტყელი სახელური. მსგავსი ხუფები ციხის სხვადასხვა უბანზეცაა აღმოჩენილი [კახიძე, მამულაძე 2004: 55].

მრავალრიცხოვნობით გამოიჩევა სამეურნეო-სატრანზიტო კერამიკა - ამფორები. გონიო-აფსაროსის მონაპოვრების მიხედვით ახ.წ. I-III სს-ის ამფორებიდან გამოყოფენ 11 ტიპსა და რამოდენიმე ქვეტიპს [ხალვაში 2002 :15, სურ.7].

განათხარ მასალაში მრავლადაა წარმოდგენილი მინის ნაწარმიც. გვხვდება ფიალების, სანელსაცხებლების და სხვადასხვა სასმისის ძირისა და პირის ნატეხები. ფიალები ვერტიკალურწიბოიანია. მსგავსი ნიმუშები მზადდებოდა ახ.წ. I ს ბოლოსა და II ს-ში [შალიკაძე 2004: 20]. მინის ნაწარმის საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს სასმისები ქმნის. ისინი უპირატესად ძირების, პირებისა და ტანის ნატეხების სახითაა წარმოდგენილი და ახ.წ. I-III სს-ის სხვადასხვა მონაკვეთით თარიღდებიან [შალიკაძე :2004].

გათხრების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვის ბირთვებიც. ბირთვები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ციხის სხვადასხვა უბნებზეც. სხვა ნიმუშების მსავსად ისინიც ახ.წ. I-III საუკუნეებითაა დათარიღებული [ასლანიშვილი 2004: 152-154; 2009: 177-184].

საინტერესო მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება ბრინჯაოს ფრინველის ფიგურა და ხელის მტევანი. აღმოჩენილ მასალებში გვხვდება მონეტებიც.


ასეთია გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში 2017 წელს წამოებული არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები. უბნის შესწავლა მომდევნო წელს გაგრძელდება.

ლიტერატურა:

1. **ასლანიშვილი 2004:** ასლანიშვილი ლ., ქვის ბირთვები, გონიო-აფსაროსი IV, 152-154, ბათუმი.
2. **ასლანიშვილი, 2009:** ასლანიშვილი ლ., შურდულის ქვები, გონიო-აფსაროსი VIII, 177-184, ბათუმი.
3. **ებრალიძე 2005:** ებრალიძე ტ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირ-რეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში, სავაჭრო-ეკონომიკური ურთი-ერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით, ბათუმი.
4. **თავამაიშვილი, ინანიშვილი 2013:** თავამაიშვილი გ, ინანიშვილი ნ., გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური ექსპედიციის ცენტრალური უბნის რაზმის მუშაობის ანგარიში// აჭარა, წარსული და თანამედროვეობა I, 164-186. ბათუმი
5. **კახიძე, მამულაძე 2004:** კახიძე ა, მამულაძე შ., სამხრეთ-კარიბჭისა და აბანოთ-უბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები// გონიო-აფსაროსი, IV, 4-107. ბათუმი
6. **მამულაძე, შალიკაძე ...2013:** მამულაძე შ, შალიკაძე თ, ასლანიშვილი ლ., გონიოს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში 2012 წელს წარმოებული გათხრების მოკლე ანგარიში// აჭარა, წარსული და თანამედროვეობა I, 187-221, ბათუმი

7. **მამულაძე, შალიკაძე...2017:** მამულაძე შ, შალიკაძე თ, სურმანიძე ნ, ქამადაძე კ., გონიო-აფსაროსში 2014 წელს წარმოებული გათხრების ანგარიში//აჭარა, წარსული და თანამედროვეობა III, 207-238. ბათუმი
8. **მამულაძე, შალიკაძე...2017:** მამულაძე შ, შალიკაძე თ, ქამადაძე კ., 2015 წელს გონიო-აფსაროსში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები//აჭარა, წარსული და თანამედროვეობა III, 239-258. ბათუმი
9. **ქამადაძე 2014 ა:** ქამადაძე კ., გვიანი შუასაუკუნეების ერთფერად მოჭიქული კერამიკა გონიო-აფსაროსიდან//ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-II, 325-328, ბათუმი
10. **ქამადაძე 2014 ბ:** ქამადაძე კ., გვიანი შუასაუკუნეების იზნიკური კერამიკა გონიო-აფსაროსიდან//სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები IV, 223-232, თბილისი
11. **ქამადაძე 2015:** ქამადაძე კ., ფაიფურის ფინჯნები გონიო-აფსაროსის ციხიდან //სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები V, 417-426, თბილისი
12. **ქამადაძე 2016 ა:** ქამადაძე კ., მარმარილოსებური კერამიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან //სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები VI, 246-251, თბილისი
13. **ქამადაძე 2016 ბ:** ოსმალური ფაიანსი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან //ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბრძენიშვი-ლის ინსტიტუტის შრომები XII, 48-62, ბათუმი
14. **ხალვაში, 2002:** ხალვაში მ., კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი.
15. **შალიკაძე, 2004:** შალიკაძე თ., გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან, გონიო-აფსაროსი V, ბათუმი.

I



1



2



2



3

III



1



2



3






IV



V



VI



3. 2017 წელს ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანზე (NO სექტორი) წარმოებული გათხრების ანგარიში

2017 წელს ქართულ-პოლონური ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია დაიწყო 26 ივნისს და გაგრძელდა 4 აგვისტომდე. ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ: ასოცირებული პროფესორი რადოსლავ კარაშევიჩ-შჩიპიორსკი (ვარშავის უნივერსიტეტი) და პროფესორი შოთა მამულაძე (გონიო-აფსაროსის მუზეუმ ნაკძალის მმართველი). ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდნენ დოქტორანტები და სტუდენტები ვარშავის არქეოლოგიის უნივერსიტეტიდან და მოხალისეები (ტაბ.I/1). თხრილი გაფართოვდა დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის მიმართულებით. ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა შენობის საზღვრების დადგენა, მოზაიკიანი ოთახის ჩათვლით. დღემდე მთლიანი არქიტექტურული კომპლექსი სამხედრო აბანოდ ითვლება.

ტუალეტი

ჩრდილოეთით წინა წელს აღმოჩენილი ნაშთები დაფარული იყო ფრიგიდარიუმის აუზის იატაკით. შესწავლილი (ტაბ.I/2). იატაკი მოპირკეთებულია სხვადასხვა ზომის კერამიკის ფილებისაგან (19x19x4,5 სმ; 26x26x4,5 სმ). აღნიშნული იატაკის დონეზე არ აღმოჩნდა კედლის ფრაგმენტები. იატაკის სამხრეთით გაკეთებული იყო ფილები და დამტვრეული ქვებით არხი იყო გაკეთებული (ტაბ.II/1). არხის ძირი შედგებოდა ასევე კერამიკული ფილებისაგან. ამ ადგილას თხრილი გასადიდებელი იყო დასავლეთით (სექ NO 1; კვად 88). ამ მეთოდმა შესაძლებელი გახადა დაგვეჩვენა მთელი სურათი და დაგვეზუსტებინა ის, რომ ზემოთხსენებული არხი დასავლეთის მხრიდან ასევე იყო იატაკის საზღვარი (ტაბ.II/1). ახლად გახსნილი არხი მიემართებოდა დასავლეთით. თუმცა არხის შემდგომი რიგი არ არის შემორჩენილი. აღმოსავლეთ ნაწილი არხის დაკავშირებულია არხთან რომელიც გაკეთებულია კერამიკული მილებით (ტაბ.II/2). უკანასკნელი წლის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მილები იყო გამოყენებული ფრიგიდარიუმის აუზიდან წყლის გადინებისთვის. მთლიანი კომპლექსი (აუზი, მილები, არხი და აღწერილი იატაკი) ეკუთვნოდა შენობის პირველ სახეს. შემორჩენილი ნაწილი გვაძლევს ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რომ ის იყო ტუალეტი, მოგვიანებით, ოთახი კერამიკული იატაკით, არ იყო გამოყენებული. ამ ადგილას იყო ქუჩა რომელიც მიდიოდა აბანოს ჩრდილოეთით. ქუჩა მოკირწყლული იყო პატარა ქვებით, რომლის შემდგომი ფენები შენახულია მთლიან სიგანეზე. ქუჩის სიფართოე 7 მეტრია. წინა წელს აღმოჩნდა, არხი რომელიც მილებისგანაა დამზადებული (ტაბ.II/2). ე.წ. „აღმოსავლეთის არხს“, წყალი მიჰყავდა ციხეში იმ პერიოდში როდესაც აბანო გამოიყენებოდა. დღემდე ჩვენ ვერ ვიპოვეთ კუთხე რომელიც გვიჩვენებს როგორ შემოდიოდა წყალი აბანოში.

ატრიუმი ოთხი სვეტით და ოთახი მეზობლად

მოზაიკის იატაკის დასავლეთით აღმოჩნდა ოთახის ნაშთები, სადაც განთავსებულია დახურული ჰიდრავლიკური კედელის კვადრატული აუზის ნარჩენები. ამ კონსტრუქციის კუთხეში მდებარეობს სამი ოთკუთხა ფორმის ბაზისი (ტაბ.III/1). კონსტრუქციის ერთი კუთხე დანგრეული იყო ოსმალური პერიოდის ორმოსაგან. აღწერილი ოთახის ჩრდილოეთით და სამხრეთით (ზომები 6 5,7 მ) მდებარეობს კიდევ ერთი ოთახი (ზომები: 4,7x5,7 მ; 4,8x5,7 მ) მთლიანი კომპლექსი სიმეტრიულად იყო განლაგებული დასავლეთიდან-აღმოსავლეთით. ოთახების დასავლეთ კედელი ნაწილობრივაა აღმოჩენილი (სექ NO 1; კვად 76, 77) ეს არის მასიური გარე კედელი. სხვა მხარეს ჩვენ ვერ ვიპოვეთ კედლის ნაშთებს, რომელიც ეკუთვნის ამ ოთახს (ტაბ.III/2). სავაუარაუდოდ დასავლეთით მდებარეობდა ქუჩა, რომელიც ნაწილობრივ იქნა გამოყენებული ახალი არხის მიერ. ოთახი აშენდა შენობის პირველ პერიოდში, და მოქმედებდა მესამე პერიოდამდე. სვეტები შენობის ცენტრში და ზედაპირული აუზები შეიძლება ინტეგრირებულ იქნას, როგორც ოთხ სვეტიანი ატრიუმი. ოთახები მდებარეობს სიმეტრიულად ჩრდილოეთით და სამხრეთით ატრიუმიდან და მას ეწოდება allae. ატრიუმის მდებარეობა მიანიშნებს, რომ გასასვლელი ან შემოსასვლელი შენობაში უნდა მდებარეობდეს დასავლეთ კედელთან ახლოს და ამავე მხარეს მდებარეობდა ქუჩა.

არხი და მილები გამომდინარე ფრიგიდარიუმიდან

ოთახიდან რომელიც მდებარეობს ატრიუმის ჩრდილოეთით, ცენტრალური გასასვლელის დასავლეთ-აღმოსავლეთ ხაზზე აღმოჩნდა გატეხილი ქვები და კირის ქვის ხსნარისაგან შედგენილი კერამიკის მილები რომელიც კედელში მდებარეობს (ტაბ.IV/1) და დაკავშირებულია ფრიგიდარიუმის აუზთან. არხის ნაწილი აღმოჩენილი იქნა 2016 წელს, მაგრამ ამ წელს ჩვენ გავთხარეთ მისი დასავლეთ ნაწილი (ტაბ.IV/2). არხი რომლის ძირი არის ნაწილობრივ გაკეთებული კერამიკული ფილებისაგან დახრილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. არხი მიდის აღწერილი შენობის კედლის გარეთ, დასავლეთით და ბრუნდება ჩრდილოეთით. ეს არხი მდებარეობს პატარა ოთახში რომელიც აშენებულია ამ შენობის დასავლეთით მეორე პერიოდში. ორივე აღნიშნული ოთახი ჯერჯერობით არ არის მთლიანად შესწავლილი. აღწერილი არხი გამოიყენებოდა ფრიგიდარიუმიდან წყლის გასაშვებად მეორე პერიოდში. აღწერილი არხის ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში, ამავე ოთახში, მაგრამ უფრო ღრმად მდებარეობდა კერამიკული მილების დაბოლოება. კერამიკული მილები რომელიც მიდიოდა ფრიგიდარიუმის აუზის ძირში მესამე პერიოდში (ტაბ.V/1). კონტექსტი გვიჩვენებს, რომ ეს არის შემორჩენილი ფრაგმენტი რომელითაც გადიოდა წყალი აუზიდან პირველ ეტაპზე. ამ სიტუაციაში ჩვენ შეგვიძლია

ვიფიქროთ, რომ უფრო ძველ აუზს ქონდა კონტაქტი გამსვლელ წყალთან. ნახსენები მიღები და კომპლექსი მიღების არხის დაკავშირებულია ტუალეტთან.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს აღმოჩენილი მიღები რომელიც გამოიყენებოდა დამატებით გამსვლელი აუზიდან გამოიყენებოდა პირველ პერიოდში. აქვე აღმოჩნდა რამოდენიმე დაუდგენელი, გაურკვეველი ბრინჯაოს მონეტები. ეს აღმოჩენა ძალზედ მნიშვნელოვანია ამ შენობის დათარიღებისთვის, განსაკუთრებით კი პირველი პერიოდისთვის.

ქვის საფეხურები

მდებარეობს მოზაიკანი ოთახის გარე კედლის სამხრეთ ნაწილში. თხრილის გასასვლელის სამხრეთით (სექ. NO11; კვად. 3). აღმოჩენილია ძალიან საინტერესო არქიტექტურული კომპლექსი, რომლის საინტერესო ნაწილია ქვის კიბეები (ტაბ.V/2). კიბეები მდებარეობს კედლის სამხრეთით, რომლის ჩრდილოეთითაც მდებარეობს მოზაიკის იატაკი. კიბეები შედგება სამი საფეხურისაგან. კიბის ზედა საფეხური მდებარეობს მოზაიკის იატაკისგან რამოდენიმე სანტიმეტრით ქვემოთ. ეს ორი ზედაპირი განცალკევებულია კედლის ნანგრევებით. აღმოჩენილ ოთახი თარიღდება პირველი და მეორე პერიოდით. კიბეების მარცხენა მხარეს მდებარეობს მასიური კონფორსტი რომელიც მდებარეობს მოზაიკანი ოთახის კედლის სამხრეთით. ორივე ნახსენები კედლები და კონფორსტი ჩაიშალა, ჩაინგრა ძალიან ღრმად (დაახლოებით 2 მ. მოზაიკის იატაკის ქვემოთ). რომელიც დაფიქსირდა წინა სეზონზე.

გრანარის ნაშთები (ხორეუმი) თარიღდება ციხის უადრესი პერიოდით.

აღწერილი არქიტექტურული სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ მოზაიკის იატაკისა და ატრიუმის ადგილას ადრე იყო სხვა შენობა. უკეთესი ინტერპრეტაციისთვის, ნაშთების აღდგენისათვის, გაკეთდა თხრილი კედლის დასავლეთ ნაწილში W 2. იგი ყოფს მოზაიკის ოთახსა და ფრიგიდარიუმს ატრიუმისაგან და ოთახისაგან, რომელიც მდებარეობს ატრიუმთან ახლოს. კედელს დასავლეთ ნაწილში W 2 იჭერს კონფორსტი, რომელიც ჩანგრეულია ძალიან ღრმად (კონფორსტი ეხება კედლის ზედაპირს). როგორც კედელზე და კონტრფორსზე შემორჩენილია ქვების მწკრივი. იგი მდებარეობს უფრო ღრმად ვიდრე გამოყენებული ფენა, რომელიც აღწერს ოთახს პირველ და მეორე პერიოდს (ფაზას). (VI/1). ქვების მწკრივის დონეზე კედლის ჩრდილოეთ ნაწილში შესაძლებელი იყო დაკვირვებოდით ხვრელს რომელიც იყო უფრო მაღლა ვიდრე მოუწესრიგებელი ქვების ფრაგმენტები (სურ 13). კონფორსტი აღმოჩნდა კედლებთან ახლოს დასავლეთ, სამხრეთით და ჩრდილოეთით მოზაიკის ოთახთან და ფრიგიდარიუმის აუზთან. აღწერილი საფეხურები და ვინტილაციის ხვრელი გვაძლავს საშუალებას ვთქვათ, რომ ადრე ამ ადგილას იყო

გრენარი (ხორეუმი). ამის შემდეგ გრნარის ნაშთები გამოიყენეს ატრიუმის და მოზაიკის ოთახის ასაშენებლად, თარიღდება პირველი და მეორე პერიოდით, ფაზით.


აღმოჩენილი სახლის ფუნქციისათვის

აღნიშნული სახლი, რომელიც იყო ატრიუმი, კერძო აბანო და ტუალეტი და დიდი ოთახი მოზაიკით, შეიძლება იდენტიფიცირებული იყოს, როგორც გარნიზონის ხელმძღვანელის სახლი „ პრეტორიუმი“. ამ ოთახების კერძობას განსაზღვრავს მათი პატარა ზომები, რომელიც არასაკმარისია მთელი გარნიზონისთვის.

მცირე აღმოჩენები

2017 წლის მცირე აღმოჩენებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია რამოდენიმე ნივთის ნატეხებმა, რომლებიც აღმოჩნდა დანგრეულ ან გამოყენებულ-გრანარის ადრეულ ფენებში. მათგან დომინირებს ბრინჯაო, მაგალითად: ფიბულის ფრაგმენტები; მინიატურული ხელი ქანდაკების. ნახსენები ქუჩებიდან არის ტეტრადრაქმა თუმცაღა მონეტა აღმოჩნდა ქუჩის მეორე კონტექსტში. მას აქვს სპეციალური მნიშვნელობა. ეს არის მსგავსი ვერცხლის მონეტის სახეობისა, რომელიც აღმოჩენილია აღწერილ თხრილში და ციხის შიგნით სხვა სექტორებში.

I



1



2

II



1



2

III



1



2

IV



1



2

V



1



2

VI



1



2